

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
THE ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

675-95  
2005

მ ა ც ბ ე  
P R O C E E D I N G S  
И З В Е С Т И Я

ეკონომიკის სერია  
ECONOMIC SERIES  
СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ



ტომი  
VOLUME 13  
ТОМ

2005 № 1-2

თბილისი \* TBILISI \* ТБИЛИСИ



მთავარი რედაქტორი

ვ. პაპავა

სარედაქციო კოლეგია

რ. აბესაძე, თ. აქუბარდია, თ. ბერიძე, მ. დაბროვსკი (პოლონეთი), ა. თეთრაული, მ. კაკუ-  
ლია, ა. კურატაშვილი, ა. კრედისოვი (უკრაინა), ე. ისმაილოვი (აზერბაიჯანი), ვ. მაუ (რუ-  
სეთი), ი. მესხია, კ. მიკულსკი (რუსეთი), ნ. პაიჭაძე, კ. პოტელი (ბელგია), ზ. სამედ-ზადე  
(აზერბაიჯანი), ა. სილაგაძე, შ. ტაბატა (იაპონია), ჯ. ტელსტრომი (აშშ), ა. ფილიპენკო  
(უკრაინა), თ. ჩიკვაიძე, ლ. ჩიქავა, ვ. წერეთელი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნ.  
ჭითანავა, მ. ჯიბუტი, ლ. ყორღანაშვილი.

**EDITOR-IN-CHIEF**

**V. PAPAVA**

**EDITORIAL BOARD**

R. Abesadze, T. Akubardia, T. Beridze, L. Chikava, T. Chikvaidze, N. Chitanava, A. Filipenko  
(The Ukraina), M. Djibuti, M. Dabrowski (Poland), E. Ismailov (Azerbaijan), M. Kakulia, L. Kor-  
ganashvili, A. Kuratashvili, A. Kredisov (The Ukraina), V. Mau (Russia), I. Meskhia, K. Mikulski  
(Russia), N. Paichadze, C. Potelle (Belgium), Z. Samed-Zade (Azerbaijan), A. Silagadze, Sh.  
Tabata (Japan), J. Tedstrom (USA), A. Tetrauli, G. Tsereteli (Deputy Editor in-Chief).

**ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР**

**В. ПАПАВА**

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ**

Р. Абесадзе, Т. Акубардия, Т. Беридзе, М. Дабровски (Польша), М. Джибути, М. Какулия, А.  
Кураташвили, Л. Корганашвили, А. Кредисов (Украина), Э. Исмаилов (Азербайджан), В.  
Мау (Россия), Я. Месхия, К. Микульский (Россия), Н. Паичадзе, К. Потель (Белгия), З.  
Самед-заде (Азербайджан), А. Силагдзе, Ш. Табата (Япония), Дж. Тедстром (США), А.  
Тетраули, А. Филипенко (Украина), Г. Церетели (зам. главного редактора), Л. Чикава, Т.  
Чикваидзе, Н. Читанавა.

0105, თბილისი, ქიქოდის 14, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი  
ტელ: (995-32) 996-853, ფაქსი: (995-32) 998-389

P. Gugushvili Institute of Economics, The Academy of Sciences of Georgia,  
14, Kikodze street, Tbilisi, 0105, Georgia  
Tel: (995-32) 996-853, Fax: (995-32) 998-389

Институт Экономики им. П. Гугушвили АН Грузии,  
ул. Кикодзе, 14, Тбилиси, 0105, Грузия  
тел: (995-32) 996-853, факс: (995-32) 998-389

E-mail: [papavavladimer@egfsis.org](mailto:papavavladimer@egfsis.org); [papavavladimer@yahoo.com](mailto:papavavladimer@yahoo.com)  
<http://georgia-gateway.org/matsne/>



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
 THE ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA  
 АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

მ ა ც ბ ე  
 P R O C E E D I N G S  
 И З В Е С Т И Я

ეკონომიკის სერია  
 ECONOMIC SERIES  
 СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ

ტომი  
 VOLUME 13  
 TOM

№1-2

ჟურნალი დაარსდა 1992 წლის ოქტომბერში  
 The journal is established in October, 1992  
 Журнал основан в октябре 1992 г.

გამოდის წელიწადში 4-ჯერ  
 The journal is published 4 times a year  
 Выходит 4 раза в год

თბილისი "მეცნიერება"  
 TBILISI "METSNIEREBA"  
 ТБИЛИСИ «МЕЦНИЕРЕБА»

47

გიორგი წერეთელი, ნანა ბიბილაშვილი პოსტსაბჭოთა პერიოდში სეპარატული მოძრაობების შედეგად დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ეკონომიკური სტიმულები საქართველოსა და მისი რეგიონების (აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის) მაგალითზე .....	6
მურმან კვარაცხელია საქართველო და ევრაზიული სივრცე: პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები .....	14
სლაფომირ პარტიცკი ხელფასების ეტაპობრივი ზრდა – ეროვნული ეკონომიკის აღმშენებლობის მნიშვნელოვანი ფაქტორი .....	25
ბაზარ და სისტემური გარდაქმნები პოლონეთში .....	32
სებასტიან სტრასეკი, ტიმოთეი იაგრეცი სლოვენიაში ბიზნეს ციკლის მონაცემები. არის თუ არა სამრეწველო წარმოება არსებული ეკონომიკური (ბიზნეს) აქტიურობის მანქანებელი? .....	40

\* \* \*

რამაზ აბესაძე ეკონომიკური განვითარების ფაქტორები .....	50
გიორგი ბერულავა საქართველოს ეკონომიკაში არსებული პრობლემების გადაჭრის ძირითადი მიმართულებები .....	59
გიორგი პაპავა რაციონალურად ნორმალისებული შერეული საბაზრო ეკონომიკის მოვლიანობა და ეკონომიკური პოლიფონია .....	66
გიორგი ბერულავა საქართველოში ელექტროენერგეტიკის ობიექტების პრივატიზაციის საკითხისათვის .....	79
ალფრედ კურატაშვილი საარსებო მინიმუმის პოლიტიკურ-ეკონომიკური რეალიზაციის პრობლემა .....	86

## CONTENTS

<b>Giorgi Tsereteli, Nana Bibilashvili</b> Economic Incentives of Returning the Territories Lost as a Result of Separative Movements in Postsocialist Period after the Example of Georgia and its Regions (Abkhazia, South Ossetia) .....	6
<b>Murman Kvaratskhelia</b> Georgia and Eurasian Space: Political and Economic Aspects .....	14
<b>Ushangi Samadashvili</b> Gradual Growth of Salaries-Considerable Factor of Renovation of National Economy .....	25
<b>Slavomir Partitski</b> Market and Systematic Transformations in Poland .....	32
<b>Sebastjan Strasek, Timotej Jagric</b> Evidence on the Business Cycle in Slovenia. Is Industrial Production a Coincident Indicator of Current Business Activity? .....	40

\* \* \*

<b>Ramaz Abesadze</b> The Factors of Economic Development .....	50
<b>George Berulava</b> The Main Directions for the Resolution of Existing Problems in Georgian Economy .....	59
<b>Giorgi Papava</b> The Integrity of Rationally Normalized Mixed Market Economy .....	66
<b>Giorgi Berulava</b> Regarding the Issue of Privatizing the Electric Energy Facilities in Georgia .....	79
<b>Alfred Kuratashvili</b> Problem of Political-Economic Realization of Subsistence Minimum .....	86

## СОДЕРЖАНИЕ

<b>გიორგი წერეთელი, ნანა ბიბილაშვილი</b> Экономические стимулы возвращения утраченных в постсоветский период территорий в результате сепаратистских движений на примере Грузии и ее регионов (Абхазия, Южная Осетия) .....	6
<b>Мурман Кварацхелия</b> Грузия и Евразийское пространство: политические и экономические аспекты .....	14
<b>Ушанги Самадашвили</b> Поступный рост заработной платы - значительный фактор возрождения национальной экономики .....	25

<b>Славомир Партыцкий</b>	
Рынок и системные преобразования в Польше .....	32
<b>Себастьян Страсек, Тимотей Ягрик</b>	
Данные о бизнес-цикле в Словении. Является ли промышленное производство показателем существующей экономической (бизнеса) активности? .....	40
* * *	
<b>Рамаз Абесадзе</b>	
Факторы экономического развития .....	50
<b>Георгий Берилава</b>	
Основные направления решения существующих проблем в экономике Грузии .....	59
<b>Георгий Папава</b>	
Целестность рационально нормализованной смешанной рыночной экономики и экономическая полифония .....	66
<b>Георгий Берилава</b>	
К вопросу о приватизации объектов электроэнергетики в Грузии .....	79
<b>Альфред Кураташвили</b>	
Проблема политико-экономической реализации прожиточного минимума .....	86

საქართველოს  
ეკონომიკის  
და მდგრადი  
საზოგადოებრივი  
აღვსენების  
სამსახური

პოსტსაბჭოთა პერიოდში სეპარატიული მოძრაობების შედეგად  
 დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ეკონომიკური სტიმუ-  
 ლები საქართველოსა და მისი რეგიონების (აფხაზეთის,  
 სამხრეთ ოსეთის) მახალეთში

გიორგი წერეთელი, ნანა ბიბილაშვილი  
*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
 პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი  
 0105, თბილისი, ქიქოძის ქ. №14  
 შემოვიდა: 2004 წლის 8 დეკემბერს*

რეზიუმე. პოსტსაბჭოთა პერიოდში სეპარატიული მოძრაობების შედეგად დე-  
 ფაქტოდ დაკარგული მიწების უკან დაბრუნების ეკონომიკური ბერკეტების შემ-  
 ცველი სისტემის აგების საკითხები დღემდე შეუსწავლელია და სპეციალურ ლი-  
 ტერატურაში არ არის გაშუქებული. ამიტომ, წინამდებარე სტატია ეძღვნება სწო-  
 რედ ამგვარი საკითხების გარკვეული კუთხით შესწავლასა და გაშუქებას. მასში  
 ასახულია სეპარატიული მოძრაობების შედეგად პოსტსაბჭოთა პერიოდში დაკარ-  
 გული ტერიტორიების დაბრუნების პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები,  
 აგებული და შემოთავაზებულია ამგვარი დაბრუნების ეკონომიკურ სტიმულთა  
 სისტემა, დასახულია ამ სისტემის კონკრეტიზაციის გზები, გამოვლენილია მათი  
 გამოყენების შესაძლებლობები და სხვა.

\* \* \*

გასული საუკუნე მატრიანეში შევიდა როგორც გამორჩეული დროი-  
 თი პერიოდი, როცა კოლოსალური პროგრესის გარდა დაფიქსირდა დი-  
 დი რეგრესიც. პროგრესიდან აღსანიშნავია: პოტენციალური შესაძლებ-  
 ლობების მხრივ მაღალი განვითარების მქონე ადამიანის ჩამოყალიბება;  
 პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირების საფუძვლების შექმნა;  
 მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თვისებრივად ახალ (ინტენსიფიკა-  
 ციის) ეტაპზე გადასვლის დაწყება; კაპიტალისტური და სოციალისტურ  
 სისტემების ურთიერთდაპირისპირებების დასრულება; კოლონიური  
 სისტემების მსხვერვა; ერთიანი მსოფლიო სისტემის შექმნის პროცესის  
 დაწყება და ა.შ. რეგრესიდან კი, ალბათ, უნდა გამოიყოს: ორი მსოფ-  
 ლიო ომი მათი დამანგრეველი ეფექტებით, ნეგატიური პოლიტიკური,  
 სოციალური, ეკონომიკური და სხვა შედეგები, რომლებიც მიღებული  
 იქნა ყოფილი სოციალისტური სისტემის, მათ შორის საბჭოთა კავში-  
 რის დაშლით და ა.შ.

XX საუკუნის 90-იანი წლები, რომელმაც დასაბამი მისცა პოსტსაბ-  
 ჭოთა პერიოდის წარმოქმნას, ხასიათდება სეპარატიული მოძრაობების  
 გაძლიერებით ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში და რესპუბ-  
 ლიკებში. ამგვარი მოძრაობების ტალღა მოედო საბჭოთა კავშირის  
 ყოფილ რესპუბლიკებსაც, მათ შორის საქართველოსაც.



სეპარატიულმა მოძრაობებმა, რომლებიც, ძირითადად, ინსცენირებული იყო გარეშე ძალების მიერ, გამოიწვია ზემოთნახსენები ქვეყნების და რესპუბლიკების ყოფილი ტერიტორიების დეფაქტოდ დაკარგვა. ასე, მაგალითად, საქართველომ, აღნიშნულ პერიოდში, რუსეთის ფარული და ძლიერი მხარდაჭერით სეპარატიზმისადმი, დაკარგა ჯერ სამხრეთ ოსეთი (ანუ ყოფილი სამაჩაბლო) და შემდეგ აფხაზეთი (ყოფილ სამურზაყანოსთან ერთად).

ამ გზით დაკარგული ტერიტორიები პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ნაწილად: ერთი, ეს ისეთი ნაწილია, რომელსაც მის შემცველ სახელმწიფოსთან გააჩნია ძველი, რეალური, ისტორიული ტერიტორიული პრეტენზია და მეორე – რომელსაც ასეთი პრეტენზია არ აქვს. მაგალითად, სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს ამგვარი პრეტენზიები საქართველოს მიმართ არ უნდა ჰქონდეთ, რადგან მათ ამის რეალური ისტორიული საფუძველი არ გააჩნიათ. თუმცა, მიგვაჩნია, რომ ამგვარ ისტორიულ საფუძველებზე დაყრდნობა არ არის მყარი, რადგან ისინი პირობითია და ისტორიულად შეიძლება შეიცვალოს ხან ერთი და ხან მეორე ერის სასარგებლოდ (ამასთან, ასეთი პრეტენზიების დამადასტურებელი ფაქტებიც ხშირად არ არის საკმარისი და დამაჯერებელი). ამიტომ, მსგავს შემთხვევებში, სამართლიანობის დადგენის მიზნით, პირველ რიგში ალბათ უნდა ვიხელმძღვანელოთ ბოლო პერიოდში (გასული საუკუნის 80-90-იან წლებში) არსებული ტერიტორიული კუთვნილების ფაქტებით.

დაკარგული ტერიტორიები, რომლებიც გარეშე ძალების ფარული მხარდაჭერით დეფაქტოდ ისევ სეპარატისტების ხელში, ხოლო დეიურედ მათი შემცველი ქვეყნების შემადგენლობაში იმყოფებიან, დიდ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და ა.შ. საფრთხეს უქმნიან არა მარტო ამ ტერიტორიებზე პრეტენზიის მქონე, არამედ სხვა ქვეყნებსაც. ისინი სხვადასხვა სახეობის, სერიოზულ საფრთხეს ქმნიან მთელი მსოფლიოსათვის.

ამიტომ, ცხადია, რომ ამ ტერიტორიების დაბრუნება მათი კანონიერი მფლობელი ქვეყნებისათვის უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე მსოფლიოს ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანის, მათ შორის ჩვენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და გადაუდებელ ამოცანას (ყოველად დაუშვებელია ზემოთ ხსენებული სახის სეპარატიზმის გამართლება ან ფარული დაცვა და რომელი ქვეყანაც ამას გააკეთებს, მას ადრე თუ გვიან ბუმერანგით მიუბრუნდება უკან მისი მანვე შედეგები).

ბუნებრივია, ისმის კითხვა – როგორ უნდა დაბრუნდეს ეს ტერიტორიები დღევანდელ პირობებში? ძალისმიერად (შეიარაღებული ძალების გამოყენებით) თუ სხვა გზებით? ვფიქრობთ, რომ ეს კითხვა საკმაოდ რთულია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ერთ ნაწილში ამ კითხვაზე არსებობს ცალსახა პასუხი – აღნიშნული ტერიტორიების

დაბრუნება უნდა მოხდეს ძალისმიერი (სამხედრო ძალების გამოყენებით) მეთოდით. მათი აზრით სხვაგვარად ეს შეუძლებელია თუნდაც შემდეგი მარტივი მიზეზების გამო: 1. მსოფლიოში დღეს ისეთი ვითარებაა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებების და რეზოლუციების უმრავლესობა არ სრულდება და მათ ქმედითი ძალა არ გააჩნიათ. ამიტომ, საერთაშორისო სამართლის ნორმები დღეისათვის ხშირად ირღვევა. 2. სეპარატისტები და მათი წამქეზებელი (დამცველი) ძალები ამ ტერიტორიებს საკუთარი ნება-სურვილით უანგაროთ არ დათმობენ; 3. ამ ტერიტორიების კანონიერ მფლობელებს იმდენი შესაძლებლობები არ აქვთ, რომ ეს ტერიტორიები ფარული ვარიანტებით გამოისყიდონ, ან რაიმეთი სტიმული მისცენ სხვა რომელიმე ძლიერ ქვეყანას, რომ მან გაიღოს ეს გამოსასყიდი;

როგორც ჩანს, მოყვანილი მიზეზები არც თუ ისე სუსტ არგუმენტებად გამოიყურება.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვთვლით, რომ დღევანდელ ვითარებაში ამ ტერიტორიების დაბრუნება ძალისმიერად (შეიარაღებული ძალების გამოყენებით) შეუძლებელია (იგი კიდევ უფრო გაართულებს არსებულ სიტუაციებს და შედეგი მაინც მიუღწეველი დარჩება). ამასვე მეტყველებენ თუნდაც ის ფაქტები, რომ ჯერ-ერთი, დასაბრუნებელი ტერიტორიების კანონიერად მფლობელი ქვეყნები იმდენად ძლიერი არ არიან, რომ მათმა შეიარაღებულმა ძალებმა შეძლონ სეპარატისტების და მათ უკან ფარულად მდგომი ძლიერი სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების დამარცხება; მეორე, მსოფლიოში ამჟამად აღიარებულია ცხოვრების დემოკრატიული წესი, ამიტომ მისი საზოგადოება მხარს არ დაუჭერს და არ გაამართლებს ამ ტერიტორიების ძალისმიერი (სამხედრო შეტაკების) გზით დაბრუნებას; მესამე, ძალადობა და სისხლისღვრა ხშირად წარმოშობს ახალ ძალადობას და სისხლისღვრას, რამაც შეიძლება არსებული სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბოს და გაართულოს.


აღნიშნული ნათელყოფს, რომ დეფაქტოდ დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნება არც თუ ისე ადვილი საკითხია. იგი იმდენად რთული და კომპლექსური პრობლემაა, რომ მისი წარმატებით გადაჭრა მოითხოვს საკითხისადმი მრავალდისციპლინალურ მეცნიერულ მიდგომას. მართლაც იგი უნდა გადაწყდეს არა მარტო სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალური, არამედ ეკონომიკური კუთხითაც.

სეპარატიული მოძრაობების შედეგად დაკარგული მიწების უკან დაბრუნების ეკონომიკური ბერკეტების შემცველი სისტემის აგება დღემდე შეუსწავლელ საკითხად ითვლება და სპეციალურ ლიტერატურაში არ არის გაშუქებული.

ამიტომ, წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება სწორედ ამგვარი საკითხების გარკვეული კუთხით შესწავლასა და გაშუქებას.



პოსტსაბჭოურ პერიოდში სეპარატიული მოძრაობების შედეგად დაკარგული მიწების უკან დაბრუნების ეკონომიკური ბერკეტების შემცველი სისტემა სქემატურად შეიძლება გამოისახოს პირველ სქემაზე მოცემული სისტემის სახით (იხ. სქემა I):



სქემა I.

პირველი სქემიდან ჩანს, რომ განსახილველი სისტემა შედგება ექვსი ძირითადი რგოლისაგან. პირველ რგოლში მოთავსებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სეპარატიული მოძრაობების შედეგად დაკარგული ტერიტორიების მიმართ გასატარებელი ეკონომიკური ბლოკადისა და სანქციების ამსახველ ღონისძიებათა კომპლექსი. მეორე რგოლში – საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სეპარატიული მოძრაობების შედეგად დაკარგული ტერიტორიული ერთეულების მხარდამჭერი ქვეყნების მიმართ გასატარებელი ეკონომიკური ბლოკადისა და სანქციების ამსახველ ღონისძიებათა კომპლექსი. მესამე რგოლში – საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სეპარატიული მოძრაობების შედეგად დაკარგული ტერიტორიული ერთეულებისათვის ისეთი სოციალური, ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გასატარებლად მისაცემი ეკონომიკური სტიმულების ერთობლიობა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათი და ამ ტერიტორიების კანონიერად მფლობელი სახელმწიფოს ურთიერთდაახლოებისა და შერიგების პროცესთა დაჩქარებას. მეოთხე რგოლში – სეპარატიული მოძრაობების შედეგად დაკარგული ტერიტორიული ერთეულების კანონიერად მფლობელი სახელმწიფოს მიერ ამ ერთეულების დაბრუნების მიზნით გასატარებულ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა ერთობლიობა. მეხუთე რგოლში – საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გასატარებელ იმ ეკონომიკურ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებიც საჭიროა ტერიტორიების კანონიერად მფლობელი სახელმწიფოს მშვიდობიანი პოლიტიკის გატარების სტიმულირებისათვის. მეექვსე რგოლი კი წარმოადგენს მაკოორდინირებულ ნაწილს. იგი კოორდინაციას უწყევს და პირველ ხუთ რგოლს აერთიანებს ერთ მთლიან სისტემად. მისი ფუნქციონირება კი გამიზნულია სეპარატიული მოძრაობის შედეგად დაკარგული ტერიტორიების კანონიერად მფლობელი ქვეყნებისათვის დაბრუნების ეკონომიკური სტიმულების შესაქმნელად.

ამ სისტემის პირველი ხუთი რგოლი თავისთავად კიდევ იყოფა ქვერგოლებად, და ა.შ., რომლებიც მონაწილეობას იღებენ VI მაკოორდინირებელი რგოლის, ანუ მთლიანი სისტემის შექმნაში.

ეს სისტემა თავის დროზე აგებულ იქნა ჩვენს მიერ. ამიტომ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ სისტემის რგოლებში, ქვერგოლებში და ქვე ქვერგოლებში ზოგჯერ მოცემულია ისეთი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც ამჟამად არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციას არ შეუძლია. მაგრამ, გვინდა დავაყენოთ საკითხი ამ ორგანიზაციების წესდებათა გადასინჯვის, მათი უფლება-მოვალეობების გაფართოების, ქმედითუნარიანობის საგრძნობლად გაზრდისა და ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების შესახებ.

განხილული სისტემის დამოუკიდებლად ფუნქციონირების პრაქტიკული რეალიზაცია, მართალია, შესაძლებელი და შედეგის მომტანი იქნება ზოგიერთი შემთხვევისათვის, მაგრამ, იგი ყოველთვის საჭირო შედეგს ვერ მოგვითმის. ამ სისტემის ფუნქციონირება, ჩვენი აზრით, საჭირო შედეგს აუცილებლად მოგვცემს იმ შემთხვევაში, თუ იგი, როგორც ქვესისტემა, სხვა (სამართლებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ) ქვესისტემებთან ერთად შექმნის ერთ მთლიან მრავალდისციპლინალურ კომპლექსურ სისტემას და მოემსახურება ასეთი მთლიანი სისტემის ფუნქციონირებას.

ეს სისტემა ჩვენს მიერ გამარტივებულ, დაკონკრეტებულ და მიხედვებულ იქნა საქართველოს და მის მიერ გასული საუკუნის 90-იან წლებში სეპარატიული მოძრაობების (და რუსეთის ფარული მხარდაჭერის) შედეგად დეფაქტოდ დაკარგული ტერიტორიული ერთეულების (აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის) მონაცემებისადმი. მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება თუ ქვემოთ მოკლედ შევეხებით საქართველოს, როგორც პოსტსაბჭოური ქვეყნის და მის მიერ ჯერ-ჯერობით დეფაქტოდ დაკარგული ტერიტორიული ერთეულების - აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის ურთიერთთანხმობების მთავარ მიზეზებს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო უძველესი ცივილიზაციის, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისა და მეტად ხელსაყრელი გეოსტრატეგიული მდებარეობის მქონე ქვეყანაა. იგი, მიუხედავად მისი უძველესი და მდიდარი ისტორიული წარსულისა, ამჟამად მაინც პატარა, ახლად განთავისუფლებულ, ფორსირებულად განვითარებად, მაგრამ ჯერ-კიდევ სუსტ სახელმწიფოს წარმოადგენს 69,7 ათასი კმ<sup>2</sup> ტერიტორიითა და 4,5 მლნ. კაციანი მოსახლეობით [6].

ცნობილია ისიც, რომ საქართველომ პოსტსაბჭოთა პერიოდში სეპარატიული მოძრაობების შედეგად (რუსეთის ფარული მხარდაჭერით) დეფაქტოდ დაკარგა მისი ისეთი ძირძველი ტერიტორიები, რომლებიც უჭირავთ ამჟამინდელ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს (ანუ სამაჩაბლოს).

აფხაზეთი, რომელსაც დაახლოებით უჭირავს 8,6 ათასი კმ<sup>2</sup>, განლაგებულია დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში და ძირითადად ესაზღვრება შავი ზღვის სანაპიროს.

აფხაზეთის დეფაქტოდ დაკარგვა საქართველოსთვის მოხდა 1992 წლის ბოლოს, როცა ადგილი ჰქონდა მისი მოსახლეობის ძირითადი მასის (45,7%-ის), ანუ ქართველების ერთიანი ძალისმიერი გამოდევნის პროცესს მათი ძირძველი მშობლიური კერებიდან.

სამხრეთ ოსეთი (ანუ სამაჩაბლო), რომელსაც უკავია 3,9 ათასი კმ<sup>2</sup>, განლაგებულია შუა საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში და მას ჩრდილო ოსეთისაგან ყოფს კავკასიონი. ეს ტერიტორიები უძველესი დროიდან ეკუთვნოდა საქართველოს. ისინი საქართველოს ისეთი ტერი-

ტორიული ერთეულების განმგებლობაში იყვნენ, როგორცაა სამაჩაბლო და ქართლი.

სამხრეთ ოსეთის (ანუ სამაჩაბლოს) დეფაქტოდ დაკარგვა საქართველოსათვის მოხდა 1992 წლის დასაწყისში, როცა ადგილი ჰქონდა მისი მოსახლეობის დიდი ნაწილის (29%-ის), ანუ ქართველების ერთიანი ძალისმიერი გამოდევნის პროცესს მათი ძირძველი და მშობლიური ადგილებიდან.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ საქართველო აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დეფაქტოდ ჩამოცილებით, ფაქტიურად ვეღარ ფლობს მისი დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანეს ბერკეტებს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ საქართველო და მისი ხალხი ვერასოდეს შეეგუება აფხაზეთის და სამაჩაბლოს ტერიტორიების დაკარგვას.

ამასთან დაკავშირებით გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დაიბრუნოს ზემოთხსენებული ტერიტორიები. სწორედ ამ ტერიტორიების დაბრუნების ერთ-ერთ მშვიდობიან გზას მიეკუთვნება იმ გეგმის პრაქტიკული რეალიზაცია, რომელიც შემუშავდა ჩვენს მიერ პირველ სქემაზე მოცემული სისტემის კონკრეტიზაციისა და მისი საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაცემებზე მორგების საფუძველზე.

მართალია ეს გეგმა და მასთან დაკავშირებული სტიმულების კონკრეტული სისტემის განხილვა მეტად საინტერესოა, მაგრამ იგი, ჯერ-ჯერობით, სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს და ამიტომ მისი გამოქვეყნებისაგან შეგნებულად ვიკავებთ თავს.

#### ლიტერატურა:

1. Из истории взаимоотношений грузинского и осетинского народов. Тбилиси, "Цодна", 1991.
2. Миминошвили Роман, Панджикидзе Гурам. Правда об Абхазии. Тбилиси, "Мерани", 1990.
3. Осетинский вопрос. Тбилиси, "Кера-XXI", 1994.
4. Тотадзе Анзор. Население, история и современность Абхазии. Тбилиси, "Самшობლო", 1995 (на груз. языке).
5. Червоная Светлана Михайловна. Абхазия-1992: посткоммунистическая вандея. Москва, "Мосгорпечать", 1993.
6. Statistical yearbook of Georgia 2004. Tbilisi, 2004.

**ECONOMIC INCENTIVES OF RETURNING THE TERRITORIES LOST AS  
A RESULT OF SEPARATIVE MOVEMENTS IN POSTSOVIET PERIOD  
AFTER THE EXAMPLE OF GEORGIA AND ITS REGIONS  
(ABKHAZIA, SOUTH OSETIA)**

**Giorgi Tsereteli, Nana Bibilashvili**  
*P. Gugushvili Institute of Economics,  
The Academy of Sciences of Georgia  
14, Kikodze str., 0105, Tbilisi, Georgia*

**SUMMARY.** The building of the system including economic levers of returning the territories lost as a result of separative movements is considered as still unstudied issue and in special literature it is not elucidated. That's why the given work is dedicated just to the elucidation and study of such issues. It reflects political and economic aspects of returning the territories lost as a result of separative movements in postsoviet period, is built and offered the system of economic incentives of such return, are mapped out the ways of concretization of the system, are exposed the possibilities of their use etc.

**ЭКОНОМИЧЕСКИЕ СТИМУЛЫ ВОЗВРАЩЕНИЯ УТРАЧЕННЫХ В  
ПОСТСОВЕТСКИЙ ПЕРИОД ТЕРРИТОРИЙ В РЕЗУЛЬТАТЕ СЕПА-  
РАТИСТСКИХ ДВИЖЕНИЙ НА ПРИМЕРЕ ГРУЗИИ И ЕЕ  
РЕГИОНОВ (АБХАЗИЯ, ЮЖНАЯ ОСЕТИЯ)**

**Георгий Церетели, Нана Библиашвили**  
*Институт экономики им. П. Гугушвили АН Грузии  
Тбилиси, 0105, ул. Кикодзе 14*

**РЕЗЮМЕ.** Вопросы построения системы, включающей экономические рычаги возвращения территорий, де-факто утраченных в постсоветский период в результате сепаратистских движений до сегодняшнего дня не изучены, и в специальной литературе не освещаются. Поэтому представленная работа посвящается изучению и освещению такого рода вопросов под определенным углом зрения. В ней отражены политические и экономические аспекты возвращения утраченных в постсоветский период в результате сепаратистских движений территорий, построена и предлагается система экономических стимулов такого возвращения, намечены пути конкретизации этой системы, выявлены возможности их использования и др.

## საქართველო და ევრაზიული სივრცე: პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები

მურმან კვარაცხელია

*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის*

*პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი*

*0105, თბილისი, ქიქოძის ქ. №14*

*შემოვიდა: 2004 წლის 18 ნოემბერს*

რეზიუმე: ჩრდილო ატლანტიკური ბლოკის, ნატოს, პოლიტიკური ფუნქციების შექმნა დღის წესრიგში აყენებს თანამედროვე მსოფლიოს განვითარების უმთავრესი სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრას. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის "ცივი ომის" ეპოქიდან შემორჩენილი ტოტალური რეჟიმებისა და ტოტალური იდეოლოგიის დაძლევა და მსოფლიოს ერთიანი დემოკრატიული სივრცის ფორმირება.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ინტერესის სფეროში ხვდება ევრაზიის სუბკონტინენტი. აქ მდებარეობს პოსტკომუნისტური ქვეყნების უმრავლესობა და მათ დემოკრატიულ გარდაქმნას გადაშფოვეტი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს მშვიდობიანი და სტაბილური განვითარებისათვის. ცხოვრებამ დაადასტურა ისიც, რომ სწორედ ევრაზია წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეთა არეალს მიმდინარე ანტიტერორისტულ კამპანიაში. ამ მხრივ განსაკუთრებით ფეთქებადსაშიში კავკასია და კასპიისპირეთის რეგიონია. მსოფლიოს ექსპერტთა პროგნოზით (მაგალითად, "ზბიგნევ ბუეხინსკი), აქ ახლო მომავალში შესაძლებელია წარმოიშვას "ახალი ევრაზიული ბალკანეთი" თავისი დიდი ტრაგიკული შედეგებით. ამიტომ, განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს რეგიონში არსებული ე.წ. "დაყოვნებითი მოქმედების ბომბების" გაუვნებელყოფა. ამის მიღწევა და დემოკრატიული პროცესების განვითარება შეუძლებელია ნატოს მხარდაჭერის გარეშე, რაც ბუნებრივად ჯდება მისი "ადამსახველეთი გაფართოების" სტრატეგიაშიც.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს, რომელიც "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ამ რეგიონის დემოკრატიული გარდაქმნების ავანგარდში ჩაღდა, შეუძლია გარკვეული ლიდერის ფუნქცია შეასრულოს. ეს განსაკუთრებით ეხება "ბალტიის, შავი და კასპიის ზღვების სტრატეგიის" რეალიზაციას. ამიტომ აუცილებელია ამ სივრცეში არსებული დემოკრატიული ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევა და ნატოს უფრო აქტიური მხარდაჭერა.

\* \* \*

ოცდამეერთე საუკუნე დიდი გლობალური ძვრების დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ. ასეთ პირობებში საქართველოს დასავლური ორიენტაციის პრიორიტეტი სულ უფრო უაღტერნატივო პოლიტიკური სტრატეგია ხდება და შესაბამისად, საქართველო და მთლიანად კავკასია თანდათანობით დიდ სახელმწიფოთა გლობალური პოლიტიკის ეპიცენტრში ხვდება. ევრაზიული ინტეგრაციის პირობებში, ჩვენი ქვეყნის ეს გეოპოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო გამოკვეთილ ხასიათს მიიღებს. აშშ-მა თავისი ცნობილი კანონის მიღებით 1999 წლის ივნისში „აბრეშუმის გზის სტრატეგია“, ჩამოაყალიბა ამერიკის გეოპოლიტიკური

ინტერესები ამ რეგიონში, რისი დასტურიც იყო პრეზიდენტ ბუშის საქართველოში ვიზიტიც.

ევრაზია თავისი უდიდესი ინდუსტრიული თუ სანედლეულო - ენერგეტიკული პოტენციალით ლამის ნახევარ მსოფლიოს მოიცავს. ეს უზარმაზარი სივრცე ატლანტიკის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე გვეკლდინება როგორც ევრაზიის სუბკონტინენტი, სადაც საქართველოს არც თუ ისე უმნიშვნელო „გეოპოლიტიკური კოხორები“ გააჩნია. ესენი ბევრნი იყვნენ, მაგრამ მთავარი - ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა სშირად უარყოფითადაც მოქმედებდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების მთელ ისტორიულ პროცესებზე. ჩვენი ქვეყანა სტრატეგიული მოსახრებით ევრაზიის ოთხ დიდმნიშვნელოვან რეგიონს შორის, როგორცაა კავკასია, შავიზღვისპირეთი, ახლო აღმოსავლეთი და კასპიისპირეთი, სტრატეგიულ სივრცეთა თავისებურ ბუფერს წარმოადგენდა. ყოველივე ამან გამოიწვია ის დასავლური ორიენტაცია, რომელიც ბუნებრივად ჯდება ქვეყნის მენტალიტეტში.

აზიური სამყაროსათვის დემოკრატიული ღირებულებების გაგება უფრო რთული და ზოგჯერ მიუღებელიც კი აღმოჩნდა. ეს დიდი სამყაროა, რომელიც გაჯერებულია რელიგიური რწმენითა და თავისებური კულტურული ჩვევებით, რაც არ უთანხმდება ევროპულს. ასე რომ, დასავლეთის ინიციატივა და ხანგრძლივი მუშაობა მშვიდობიანი მსოფლიო თანაცხოვრებისათვის წარმოშობს მძაფრ დაპირისპირებას და კონფლიქტს, რამაც შესაძლოა ყველაზე მშვიდობიან ქვეყნებშიც იწინოს თავი.

ასეთ პირობებში, საინტერესოა, რა როლის შესრულება დაეკისრება კავკასიას, კერძოდ კი საქართველოს, ისეთ მსოფლიო პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც წარმოადგენს ცივილიზაციათა კონტრასტისა და მათი შეჯახების ზონას. აქ ერთმანეთის პირისპირ დგანან მართლმადიდებლური ქრისტიანობა და ისლამი, რასაც ემატება დასავლეთის ამბიციები. სწორედ მის შედეგსა და გამოძახილს წარმოადგენს კავკასიური კონფლიქტები. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მსოფლიოში ყველაზე სისხლისმღერელი კონფლიქტები სწორედ ცივილიზაციათა გამყოფ მიჯნებზე წარმოიშობა [2, გვ. 35]. ეს რეგიონი საფრთხის წინაშეა, სადაც მომავალში მოსალოდნელია უფრო ძლიერად განვითარდეს კულტურათა ბრძოლა. სწორედ ამ სხვაობის გამო საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია ჯერ კიდე XII საუკუნიდან ევროპისკენ იყო მიმართული. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს დიდი მეფის დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და ბრძოლის ისტორია.

დღევანდელ პირობებში ყველაზე ფეთქებადი რეგიონი გახდა კავკასია მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ისტორია მეორდება! კავკასიის დაჩოქება შეიძლება მხოლოდ ომითა და მისი სავალალო შედეგებით.

ცხელი წერტილი უკვე რამდენიმე წელია არის კავკასიის ერთ-ერთი რეგიონი – ჩეჩნეთი. აქ პროგნოზი დამშვიდების საშუალებას არ იძლევა. მოსალოდნელია სხვა კონფლიქტების განახლებაც, როგორებიცაა აფხაზეთი, ოსეთი, ყარაბაღი. აქ დიდია უცხო ძალთა ინტერესები, განსაკუთრებით ენერგეტიკის სფეროში. მათი გეოპოლიტიკური გეგმების დაპირისპირება გამოიწვევს აშკარა ჩარევას სუვერენული ქვეყნების საშინაო საქმეებში [3, გვ. 42], რაც, სამწუხაროდ, დღევანდელ პირობებში აპრიორი გახდა.

ნიშანდობლივია, რომ რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესებიც აქეთკენ მიდის. ზოგიერთი დასავლელი ექსპერტის აზრით, კავკასიის რეგიონის დაპყრობა დროთა განმავლობაში იქცა რუსების თვითიდენტიფიკაციის განუყრელ ნაწილად [4]. ამის ნათელი მაგალითია აფხაზეთში კონფლიქტი, რომელიც გლობალურია და ისტორიული. ჯერ კიდევ 1918 წელს რუსეთმა ოქტომბრის რევოლუციის პირველ წელს საქართველოს წაართვა სოჭა. ცნობისთვის იმ პერიოდისათვის სოჭის გარშემო 18 ქართული სოფელი იყო, ახლა არცერთი აღარ არის. 100 წლის წინ იქ ჩაატარეს ქართველების დიდი გენოციდი, მოსპეს ქართული დამწერლობა, რომელიც ჯერ კიდევ შემერებიდან მოდის და ყველაფერი რუსულ ყაიდაზე გადაიყვანეს. „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკა დღესაც დიდი ძალისხმევით ტარდება აფხაზეთში. იქ მაცხოვრებელთა 80%-ზე მეტი უკვე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებად აქციეს. ასეთი პოლიტიკის გამტარებლებად რუსეთის ეგრეთ წოდებული „სამშვიდობო ძალები“ გვევლინებიან. გლობალურ ანტიკომანურ პარადოქსთან გვაქვს საქმე. საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებს ყოველგვარი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე ისაკუთრებენ, რის საფუძვლადაც იყენებენ ყველაზე უსუსურ საბაზს – მოსახლეობის პასპორტიზაციას!


ჩვენ ასეთ სენს შეგვიძლია შევებრძოლოთ მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენი პასუხი ამაზე შეიძლება იყოს მხოლოდ გაერთიანება. ყოფილ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში უნდა შეიქმნას ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცე ბალტიის, შავი და კასპიის ზღვების არეალში. აქ შეგვიძლია ჩავრთოთ გამოცდილი მეცნიერული პოტენციალი და ვაწარმოთ ღრმა გამოკვლევები ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების ჩარჩოებში სახელწოდებით – „ახალი გეოპოლიტიკური სივრცე ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე“.

მითუმეტეს, ცნობილია, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცეს აშშ-ს გეოპოლიტიკურ და სტრატეგიულ გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ეს ბრწყინვალედ დააკონკრეტა აშშ-ს პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა 2005 წ. 10 მაისს თბილისში გამოსვლისას, სადაც მან ცალსახად აღნიშნა, რომ „ლიდერებმა იციან, რომ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება აუცილებელია თქვენი ტრანსატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციისათვის.“



ამავე დროს, საქართველოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას ყველა ქვეყანამ უნდა სცეს პატივი“. ცხადია, კავკასია შესახებ მწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესების სახიფათო გადაკვეთის ადგილია!

დიდი დასავლელი პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი თავისი პოლიტიკური ანალიზით ცხადყოფს რუსეთის რეგრესულ როლს როგორც ბალკანეთსა და კავკასიაში, ისე მთელ ევრაზიულ სივრცეში. აქ გამოკვეთილია რუსეთის მისწრაფება მოაწიოს ახალი „ევრაზიული ბალკანეთი“ კავკასიისა და კასპიისპირა ქვეყნებში (სქემა 1).



„THE BIG CHESS-BOARD“

სქემა 1

24963

საქართველოს  
გეოგრაფიული  
ინსტიტუტი

ზოიგნევე ბჟეზინსკის გახმაურებულ წიგნს – „დიდი საჭადრაკო და-  
 ფა“ ავტორის სიმბოლური წანამძღვარი ახლავს: „ჩემს სტუდენტებს  
 იმისათვის, რომ შესძლონ ხვალინდელი მსოფლიოს უკეთ წარმოსახვა“.   
 ბუნებრივია, რომ ეს მარტო ამერიკელ მკითხველებს არ ეხებათ. არა-  
 ნაკლებ მეტად თუ არა იგი გვეხება ჩვენც, რამეთუ ხვალინდელი  
 მსოფლიოს სწორ წარმოდგენაზე ბევრწილად არის დამოკიდებული  
 ხვალინდელი საქართველოს ბედი. ჩვენთვის დილემა აქ ასე დგას:


ან ჩვენ შევძლებთ „ბოროტების იმპერიის“ ნანგრევებიდან საბო-  
 ლოოდ თავის დაღწევას, მძიმე სამხედრო-პოლიტიკური და სოციალურ-  
 ეკონომიკური პრობლემების დაძლევას და ამით მსოფლიო თანამე-  
 ვობრობის ღირსეულ წევრად გახდომას, ანდა, 1921 წლის მსგავსად,  
 საქართველოს და მასთან ერთად კავკასიის ისტორიის ჩარხი კვლავ  
 უკუღმა დატრიალდება.

ეს არის შექსპირისეული „ყოფნა-არყოფნის“ დილემა ჩვენთვის და  
 ამიტომაც იწვევს დიდ ინტერესს ნებისმიერი სერიოზული პოლიტო-  
 ლოგიური ანალიზი ამ მიმართებით. მითუმეტეს, როცა ეს ანალიზი  
 ეკუთვნის თანამედროვე ამერიკული პოლიტოლოგიის ისეთ დიდ მკვლევ-  
 ვარს, რომელმაც XX საუკუნის II ნახევრის მსოფლიო განვითარების  
 არაერთი დიდი ისტორიული ძვრები იწინასწარმეტყველა. საკმარისია  
 დავასახელოთ საბჭოთა კავშირის დაშლა.

ზ. ბჟეზინსკის აღნიშნული გამოკვლევებიდან ჩვენს განსაკუთრებულ  
 ინტერესს იწვევს ის ანალიზი, რომელიც კავკასიის აწმყოსა და მო-  
 მავალს ეხება. აქ ჩვენ სანიმუშოდ გვინდა მოვიყვანოთ ერთი მისეული  
 სქემა სიმბოლური სახელწოდებით – „ევრაზიური ბალკანეთი“:

სქემიდან აშკარად ჩანს თუ სტრატეგიულ ინტერესთა რა დიდი კო-  
 ნცენტრაცია მოდის საქართველოსა და კავკასიაზე. „ვარდების რევო-  
 ლუციამ“ კიდევ უფრო გაზარდა ინტერესთა ეს დაპირისპირება და ჩვე-  
 ნი ვაღია პოზიტიური სახე მიეცეთ მას, რათა თავიდან ავიცილოთ „ევ-  
 რაზიური ბალკანეთის“ ავბედითი აჩრდილი კავკასიაში და თუ მაინც  
 ეს მოხდა, ეს იქნება, ალბათ, „ძნელბედობის“ 800-წლიანი პერიოდის  
 ყველაზე დიდი ტრაგედია საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის.

სქემა იმასაც გვიჩვენებს, თუ სად არის ხსნა და გამოსავალი: და-  
 ვაკვირდეთ მას – „კავკასიური ცარცის წრეს“ მისი ოთხივე განზომი-  
 ლებით: ჩრდილოეთით მართლმადიდებლური რუსეთი თავისი „ვლადი-  
 კავკასიური“ ძველი, თუ ახალი იმპერიული ამბიციებით. სამხრეთით  
 მაჰმადიანური თურქეთი და ირანი – საქართველოსა და კავკასიის ძვე-  
 ლი მტერ-მოყვარენი, რუსეთის მსგავსად სისხლ-ხორცეულად რომ არი-  
 ან დაინტერესებულნი კავკასიითა და შავი ზღვა-კასპიისპირეთით. და-  
 სავლეთით უპირატესად კათოლიკური გაფართოებული ევროკავშირი“  
 თავისი 450 მილიონიანი მოსახლეობით და უზარმაზარი პოლიტიკური  
 და სავაჭრო-ეკონომიკური პოტენციალით, ხოლო აღმოსავლეთით უპი-



რატესად მაჰმადიანური კასპიისპირეთი და შუა აზია ასეთივე დიდი ენერგეტიკული პოტენციალით, „XXI საუკუნის მსოფლიოს მთავარ ენერგეტიკულ ბაზად“ რომ არის უკვე მიჩნეული დღეს.

ყველა ამ ფაქტორთა გათვალისწინებით ევრაზიული ინტეგრაციული პროცესების შემდგომი განვითარებისთვის და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ფორმირებისთვის დიდი, შეიძლება ითქვას - გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კავკასიური პრობლემების გადაჭრას მშვიდობიანი, ცივილიზირებული გზით. ბუჟინსკის სქემა თვითონ გეკარნახობს ამ გზას. ეს არის გარკვეული „ბუფერული ზონის“ შექმნა აქ მცხოვრები სხვადასხვა რელიგიისა და კულტურის მქონე, მაგრამ ერთი „კავკასიურ-იბერიული“ ჯგუფის ხალხების კონფედერაციული გაერთიანებით როგორც ეს თავის დროზე შევიცარიის კანტონებით ცენტრალურ ევროპაში განხორციელდა. სიმბოლურია, რომ კავკასიის ხალხთა წარმომადგენლების კონფერენცია „ერთიანი კავკასიური სახლის“ შექმნის იდეით სწორედ შევიცარიაში, უენევაში გაიმართა 1876 წელს. ეს იდეა შეიძლება დღეს ფანტაზიად მოჩანდეს, მაგრამ კავკასიის წარსული და ახლო, თუ შორეული მომავალი სწორედ ამ იდეის რეალიზაციისაკენ გვიბიძგებს. სხვათაშორის, ეს შედის თვითონ კავკასიის ირგვლივ არსებულ ზემოდჩამოთვლილ ძალთა ინტერესებშიც.


კავკასიას შეუძლია და უნდა გახდეს ახალი მსოფლიო წესრიგის და მომავალი „უსაზღვრებო მსოფლიოს“ ისეთი საკვანძო პუნქტი, ასე ვთქვათ, თავისებური „სასინჯი ქვა“, სადაც ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება განხორციელდეს „დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“. ამას გვასწავლის და ამისკენ მოგვიწოდებს ისტორიაც და თანამედროვეობაც და რაც მთავარია, ევრაზიული ინტეგრაციის სამომავლო ინტერესები. ეს იქნება ყველაზე ეფექტური და სტრატეგიულად მომგებიანი სვლა დიდ ევრაზიურ საჭადრაკო დაფაზე (სქემა 2).

ჯერ კიდევ ძველი ბერძნები კავკასიას, რომელსაც ისინი „დედამიწის შუბლს“ უწოდებდნენ მეტაფორულად, ერთიან რეგიონად განიხილავდნენ. რამოდენიმე დიდმა იმპერიულმა ძალამ სცადა კავკასიის ასეთ ერთ რეგიონად გაერთიანება მიდიელებიდან და რომაელებიდან მოყოლებული, ოტომანთა და რუსეთის იმპერიით დამთავრებული. ასეთი ცდები არსებობდნენ თვითონ კავკასიის რეგიონში მცხოვრებ ხალხებშიც. მათგან ორი დიდი მოვლენა შეიძლება აღინიშნოს - დავით აღმაშენებლის „ოქროვანა ხანა ნიკოფსითგან დარუბანდამდე და ოსეთითგან არევაწამდე“ და შამილის იმამატი. სწორედ დროის ამ მონაკვეთში წარმოიშვა „კავკასიური კონალობის“ (კეთილმეზობლური ურთიერთობის) ის ფენომენი, რომელსაც ჩვენ მომავალი კავკასიური ინტეგრაციის ზნეობრივ საფუძვლად მივიჩნევთ. „კავკასისკი ჩელოვკი“ - ასე მოგვნათლეს ზოგადად ყველა კავკასიელი რუსებმა და ჩვენი ვა-

ღია კავკასიის გაერთიანების მესამე ცდა საბოლოოდ წარმატებით დამთავრდეს ჩვენი რეგიონის, ევრაზიის და მთელი მსოფლიოს საკუთილდღეოდ.

„Euroasian Balkans“

სქემა 2



ჩვენ კარგად გვესმის, რომ „ერთიანი კავკასიური სახლის“ ძველი იდეის აღორძინება და განხორციელება უადრესად რთული და ძნელი საქმეა იმ დიდ სამხედრო-პოლიტიკური, კულტურულ-რელიგიური და სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობათა პირობებში, რომელიც დღეისათვის არსებობს აქ და სხვადასხვა დაპირისპირებულ ძალებად ქსაქსავენ მას. ამიტომაც წარმოიშვა „ევრაზიური ბალკანეთის“ საფრთხე.

ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად და შესაბამისად, კავკასიის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გაბედული და გრძელვადიანი სტრატეგიული პროგრამის შემუშავება აუცილებელია. ეს ყველა დაინტერესებული ქვეყნის ინტერესს უნდა შეადგენდეს.

მაგრამ კავკასიის მომავლის სტრატეგიული ხედვა არ იქნება ეფექტური და სიცოცხლისუნარიანი, თუ კავკასიის ხალხებიც გლობალიზმის აქტიურ ინტეგრაციულ პროცესებში არ ჩაერთვებიან. კავკასიის, ევრაზიური ინტეგრაციის და მათთან ერთად, ახალი მსოფლიო წესრიგის წარმატება სხვანაირად წარმოუდგენელია. ეს განსაკუთრებით რუსეთსა და მისი ეგიდით შექმნილ „დსთ“-ს ეხება. ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით, აქ წარმატება მხოლოდ თანამედროვე რუსული პოლიტიკის „მედასავლური“ ფრთის გამარჯვებაზეა დამოკიდებული – დღევანდელი რუსეთის (რომელსაც ზ. ბუჟინსკი სრულიად სამართლიანად „შავ ხერულს“ უწოდებს), დემოკრატიულ ფერისცვალებასთან. ამიტომ ყველაფერი ეს უნდა განხილულ იქნას მსოფლიოს ერთიანი დემოკრატიული სივრცის ფორმირების განმსაზღვრელ სტრატეგიად უახლოესი თუ შორეული მომავლისთვის.

სტრატეგია სტრატეგიად, მაგრამ ინტეგრაციული პროცესების წარმატებისთვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს ტაქტიკასაც. კავკასიური ინტეგრაციის პროცესი, ჩვენი აზრით, უნდა დაიწყოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირუროთიერთობის გაფართოებით და კავკასიის თავისებური „საერთო ბაზრის“ შექმნით. არაფერი არ აახლოებს ხალხებს და ადამიანებს ისე, როგორც ეკონომიკა. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება მომავალშიც. „აბრეშუმის დიდი გზა“, ევროპასა და აზიას შორის ინტეგრაციის პირველი ნაბიჯები ხომ, სწორედ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირებით იწყება. XIX-XX საუკუნეების ქართული პოლიტიკური იდეალი – „კავკასიის შეერთებული შტატების“ შექმნაც შეიძლება შორეულ მომავლაში რეალობად იქცეს მხოლოდ „კავკასიის საერთო ბაზრის“ შექმნით და რეგიონის ეკონომიკური ინტეგრაციით. დღეს არსებული წინააღმდეგობანი და „ცხელი წერტილებიც“ ნელ-ნელა გაქრებიან: ეკონომიკა მთელ მსოფლიოს ერთიანს ხდის და ასე იქნება კავკასიაშიც.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს კულტურულ, მეცნიერულ-ტექნიკურ, საგანმანათლებლო და სპორტულ კავშირუროთიერთობათა განვითარებას. თავის დროზე ივ. ჯავახიშვილს თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნება განზრახული ჰქონდა საერთო-კავკასიური უნივერსიტეტის სახით. 20-30-იან წლებიდანვე აქ დიდი მუშაობა წარმოებდა კავკასიური იბერიული ენებისა და ისტორიის კვლევის თვალსაზრისით. ბევრი ტრადიცია, წეს-ჩვეულება და ცხოვრების წესი კავკასიელებს საერთო აქვთ და ალბათ ესეც კარგ წინამძღვრებს ქმნის კავკასიური ინტეგრაციისთვის. გავიხსენოთ, რომ ისტორიულად ყველა კავკასიური სამეფო-სამ-

თავრობო, თუ სახანო „კონაღურად“ და საგვარეულო-სანათესაო კავშირებით იყვნენ ერთმანეთთან ორგანულად გადაბმულ-გადაჯაჭვულნი. თვით ბაგრატიონების უძველესი დინასტია, პალესტინურ-ებრაულ ძირებს რომ უკავშირდება, ისტორიულად, ფაქტიურად საერთო-კავკასიური დინასტია იყო, რამდენადაც სამეფო ოჯახის ტრადიციით, მათ საოჯახო-საქორწინო ურთიერთობა კავკასიის თითქმის ყველა ხალხთან ჰქონდათ დამყარებული, რაც თავის მხრივ, ქვეყნის პოლიტიკური ინტერესებით იყო გაპირობებული (გაგისხენოთ თუნდაც – ამ მხრივ, დავით აღმაშენებელი, ანდა, თამარ მეფე).

ვერაზიული და კერძოდ, კავკასიური ინტეგრაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტისა და ტურიზმის განვითარებას. ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით მათი მნიშვნელობა უუქველია, კიდევ უფრო გაიზრდება. კარგი იქნება, თუ უკვე უახლოეს ხანს კოორდინირებულ სახეს მიიღებს კავკასიის ტურიზმის სამსახური, ამასთან, საფუძველი ჩაეყრება კავკასიურ სპორტულ თამაშებს და თუნდაც, ზაფხულის, ან, ზამთრის ოლიმპიადასაც ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევით. სპორტი და ტურიზმი მშვიდობისა და ხალხთა დაახლოების მძლავრი საშუალებაა დღეს და ხვალ და ზევ უუქველია, იგი კიდევ უფრო გამოკვეთილ სახეს მიიღებს.

ერთი სიტყვით, კავკასიის ხალხთა და ქვეყანათა ინტეგრირების რესურსები და რეზერვები ბევრია, მაგრამ მათი ამოქმედებისათვის პირველ რიგში პოლიტიკური ნებაა აუცილებელი. კავკასიელთა ერთობის ძველი, მაგრამ მარად ახალი იდეა კვლავ ცარიელ იდეად დარჩება. მთავარი სიტყვა აქ პოლიტიკოსებს, პოლიტოლოგებს და ეკონომისტებს ეკუთვნის და კარგი იქნება, თუ ამ მიმართებით მოხდება გარკვეული კოორდინაცია და საქმიანი ურთიერთკავშირი როგორც რეგიონალური, ისე გლობალური მასშტაბით, რათა უკეთ შევძლოთ ბუჟინსკის ტერმინოლოგიით, – „ხვალინდელი მსოფლიოს უკეთ წარმოსახვა“ და „ვერაზიურ საჭადრაკო დაფაზე“ სწორი ხვლების გაკეთება. კავკასიაში „კონაღობის“ ტოლერანტულ ტრადიციებს ამ გზით ახალ სიცოცხლეს შევძენთ, რაც თავის მხრივ, სტიმულს მისცემს ფორმირების პროცესში მყოფ ახალ მსოფლიო წესრიგს.

#### ლიტერატურა:

1. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ პოლიტიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. შრომების კრებული, თსუ, თბილისი 2003 წ.
2. უშრნალი „კონფლიქტოლოგიის საკითხები“, თბილისი, №2, 2001 წ.
3. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა, 2005 წ. 11 მაისი.

4. US – Russian Relations at the Turn of the Century – Carnegie Endowment for International peace working group.
5. «Российская газета», 1998 г. 28 ноября.

## GEORGIA AND EURASIAN SPACE: POLITICAL AND ECONOMIC ASPECTS

**Murman Kvaratskhelia**

*P. Gugushvili Institute of Economics,  
The Academy of Sciences of Georgia  
14, Kikodze str., 0105, Tbilisi, Georgia*

**SUMMARY:** NATO is gradually acquiring political functions and from this standpoint, it is very important to determine the chief strategic directions of the modern world political development. Primarily these strategic directions include the overcoming the total regime and ideology still existing from the “Cold War “period and the formation of the world democratic spaces. In this context, Eurasian subcontinent appears to be the object of chief interest. It is the very place, where many post communist countries are situated and their democratic transformation is very important for peaceful and stable development of the world.

According to recent political analysis, Eurasia is considered potential danger for the current anti-terrorism campaign. Eurasia may be labeled as “the source of conflicts “.Thus our duty is to avoid all the possible complications that threaten to turn into war and bloodshed.

In this context, Caucasus and the Caspian Sea region are especially dangerous spaces. According to some political prognosis (of Bzignev Bzhezinski, for example), “new Eurasian Balkan “may emerge on that territory, with its tragic outcomes. To avoid all the possible complications and to let the democratic processes develop we will need the help of NATO.

Caucasus has turned into the region, where drug business, illegal trade of weapons and terrorism has become very frequent. The neighboring country uses the separatist Abkhazia and Oseti territory to conduct illegal activities. The tunnel of “Rocky” is actually used for the transition of weapon and narcotics. We must put an end to all criminal activities.

In this connection, Georgia, having found itself in the very head of democratic changes of the region after the” Rose Revolution”, can fulfill the function of the leader in the region. This is mainly connected with the realization of the “Baltic, Black and Caspian Sea Strategy”. The mentioned spaces are expected to achieve decisive importance in solving the problems of post communist era. For this reason, all the democratic countries existing in that space must actively back NATO to decide all the problems.

## ГРУЗИЯ И ЕВРАЗИЙСКОЕ ПРОСТРАНСТВО: ПОЛИТИЧЕСКИЕ И ЭКОНОМИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ

**Мурман Кварацхелия**

*Институт экономики им. П. Гугуцивили АН Грузии,*

*Тбилиси, 0105, ул. Кикодзе 14.*

**РЕЗЮМЕ.** Приобретение политических функций НАТО на повестку дня ставит вопрос определения главного стратегического направления современного мира. Это, прежде всего, преодоление оставшихся от «холодной войны» тотальных режимов и идеологий, формирование единого мирового демократического пространства.

В этом смысле в сферу особого интереса попадает Евразийский субконтинент.

Здесь находятся большинство посткоммунистических стран, демократическое преобразование которых имеет большое значение для мирного и стабильного развития мира. Жизнь доказала, что Евразия является ареалом потенциальной безопасности в антитеррористической кампании. В этом отношении самыми взрывоопасными являются кавказский и прикаспийский регионы. По прогнозам мировых экспертов (З. Бжезинский и др.) в этих регионах в ближайшем будущем, возможно, появятся «новые евразийские балканы» со своими трагическими последствиями. Исходя из этого, особое внимание следует уделять обезвреживанию т.н. «бомб замедленного действия». Достижение этих целей и развитие демократических процессов немислимы без содействия НАТО, стратегией которого является «расширение на восток».

$$(5) \quad S_y = \frac{1}{2\pi} \begin{bmatrix} \sum_{\tau=-\infty}^{\infty} \gamma_{yy}(\tau) \cos(\omega\tau) & \sum_{\tau=-\infty}^{\infty} \gamma_{yx}(\tau) \{\cos(\omega\tau) - i \sin(\omega\tau)\} \\ \sum_{\tau=-\infty}^{\infty} \gamma_{xy}(\tau) \{\cos(\omega\tau) - i \sin(\omega\tau)\} & \sum_{\tau=-\infty}^{\infty} \gamma_{xx}(\tau) \cos(\omega\tau) \end{bmatrix}$$

As it was stated before, the cross-spectrum is complex quantity. In order to estimate it, we will use a polar decomposition. So it is possible to reformulate the cross-spectrum in terms of two real quantities, the cospectrum and quadrature spectrum:

$$S_{yx}(\omega) = co_{yx}(\omega) + i qu_{yx}(\omega)$$

$$(6) \quad co_{yx}(\omega) = \frac{1}{2\pi} \sum_{\tau=-\infty}^{\infty} \gamma_{yx}(\tau) \cos(\omega\tau)$$

$$qu_{yx}(\omega) = \frac{1}{2\pi} \sum_{\tau=-\infty}^{\infty} \gamma_{yx}(\tau) \sin(\omega\tau)$$

The cospectrum between  $y_t$  and  $x_t$  at frequency  $\omega$  has the interpretation of the covariance between  $y_t$  and  $x_t$  that is attributable to cycles with frequency  $\omega$ . The quadrature spectrum from  $x_t$  to  $y_t$  at frequency  $\omega$  is proportional to the portion of the covariance between  $x_t$  and  $y_t$  due to cycles of frequency  $\omega$ . Cycles of frequency  $\omega$  may be important for both  $x_t$  and  $y_t$  individually as reflected by large values for  $S_x(\omega)$  and  $S_y(\omega)$  yet fail to produce much contemporaneous covariance between the variables because at any given date the two series are in different phase of the cycle. For example, the variable  $x_t$  may respond to economic recession later than  $y_t$ . The quadrature spectrum looks for evidence of such out-of-phase cycles.

Business cycles are characterized by a high correlation between several macroeconomic variables over the business cycle. Multivariate time series analysis in the frequency domain can be used to analyze this phenomenon by using coherence (Coh) and phase (Ph):

$$(7) \quad Coh(\omega) = \frac{|S_{yx}(\omega)|^2}{S_{yy}(\omega)S_{xx}(\omega)}, \quad 0 \leq Coh(\omega) \leq 1$$

$$Ph(\omega) = \text{atan} \left( \frac{qu(\omega)}{co(\omega)} \right), \quad \text{lead/lag} = \frac{Ph(\omega)}{\omega}$$

The coherence between two or more time series can be used to measure the extent to which multiple time series move together over the business cycle. The phase gives the lead of  $y$  over  $x$  at frequency  $\omega$ . There is close relationship between the concept of the phase of two time series and the business cycle research of isolating leading, coincident and lagging indicators. Furthermore, the concept of phase is closely connected to the concept of Wiener-Granger causality (Granger, 1980; Granger, 1988).

It is common that the cross-spectrum shows no regularities. This is because there is not enough information in the original signals to obtain a well-behaved curve. Using a longer series does nothing to help this problem. The answer is to use smoothing and filtering procedures.

Filters are normally applied on the input signals. They are used for two general purposes: separation and restoration. Signal separation is needed when a signal has been contaminated with noise. Signal restoration is used when a signal has been distorted in some way. An example of this problem can be seen in Lucas (1972), where rational agents solve a signal separation and restoration problem in order to react optimally to an observed price change where it is unknown whether the price change reflects a change in the general price level or change in real demand on the individual market.

Although the spectral density diagram is an asymptotically unbiased estimate of the spectrum, it is not consistent. A whole set of literature has been developed on smoothing methods for the spectral density function, which are referred to as spectral windows. Care, however, must be exercised not to introduce a cyclical peak solely due to the smoothing technique.

### 3. Data

The monthly macroeconomic data were obtained from the Bank of Slovenia (2001) and are for January 1992 to August 2000. Despite the fact, that in the beginning of the development of the analysis of cyclic characteristics of variables researchers did not pay sufficient attention to differ between real and nominal data, the elimination of inflatory effects represents a standard first step in the research of time series (Zarnowitz and Boschan, 1977). Deflation of time series with a suitable price index ensures intertemporal comparison of observations.

Almost each time series includes the impact of seasons in its movement. The use of such original monthly series can bring us to absolutely wrong conclusions about the further development of the observed phenomenon. It is therefore reasonable to employ special procedures in order to separate the seasonal component from other components. Of course, it is desired as well as necessary that the series does not lose its characteristics in this process.

One of the traditional approaches in assessing the stated components is the regression method. It is a simple and easily comprehensive method, but can lead to a wrong choice of the polynomial, which is supposed to describe the trend-cycle. The second traditional approach is represented with the method of moving averages. The non-seasonal component is determined with the use of symmetric operator of moving averages. It is calculated as a difference between the original and the estimated nonseasonal component. Estimates are calculated with iterative method that is with the reiteration of the calculation of moving averages.

A well-known example of the use of the method of moving averages is the Method II – version X11 from 1968. The main weakness of this method, and also the weakness of all other traditional procedures, lies in neglecting the fact that the seasonal component has a stochastic character, and that it is related to other components. It is thus better to use seasonal models ARIMA (Bundesbank, 1999). Despite the fact that numerous programmes have been developed, which enable the use of the mentioned methods, we use programme X11ARIMA (Statistics Canada, 1999) in the empirical part of our research.

Stationarity of time series is a common phenomenon, especially in periods with stable conditions. Nonstationary time series may have the "typical spectral shape" of Granger (1966), which makes impossible

to detect business cycle frequencies. Differentiation of time series can eliminate the presence of nonstationarity, but also has its drawbacks (Charemza and Deadman, 1992). Differentiation does also affect long-term relationships between economic variables.

In the stationarity test, the selected data series are (marked as  $Y_t$ ), analyzed with the equation:

$$(8) \quad Y_t = \rho Y_{t-1} + u_t$$

If it is found out with the Dickey-Fuller (DF) test that the coefficient  $\rho$  in  $Y_{t-1}$  equals 1, we are faced with the problem of unit root and non-stationary time series. If the coefficient in  $Y_{t-1}$  is absolutely smaller than one, we can assume that  $Y_t$  is a stationary and integrated series of the order 0, which can be put down as  $I(0)$ . The changed form of the upper equation is thus analyzed, by the inclusion of the first difference in the observed variable ( $\Delta Y_t$ ):

$$(9) \quad \Delta Y_t = \delta Y_{t-1} + u_t$$

or,

$$(10) \quad \Delta Y_t = \beta_1 t + \delta Y_{t-1} + u_t$$

When both equations are compared, it becomes obvious that the zero hypothesis is being checked  $\delta = 0$ . If we suspect that the residuals  $u_t$  are autocorrelated (which is a regular phenomenon in the analysis of time series with monthly data), the following equation is used for the analysis of stationarity:

$$(11) \quad \Delta Y_t = \alpha + \beta t + (\rho - 1)Y_{t-1} + \sum_{i=1}^m \lambda_i \Delta Y_{t-i} + \varepsilon_t$$

The testing of stationarity has been done in two steps. In the first step, we tested series without the use of linear trend, which is marked in the Table 1 as the coefficient  $\beta$ . In the second step, we added the linear trend. The testing of de-seasoned data showed that series are not stationary, if the model does not include the trend. With the inclusion of trend series become stationary. This is why the observed series need to be remodelled in the consequent testing. As the use of different forms of differentiation may bring negative influence on the results of further testing we decided to eliminate long-term linear trend by using Hodrick-Prescott filter ( $\lambda = 14400$ , suggested value for monthly data).

TABLE 1: TEST OF STATIONARITY FOR INDUSTRIAL PRODUCTION AND GDP

Variable	$(\rho - 1)$	$\lambda$	$\alpha$	$\beta$	ADF
GDP	-0,004339 (-0,135034)	-0,617541 (-7,568582)	0,857351 (0,302721)		-0,135034
GDP	-1,044142 (-6,941399)	-0,100119 (-1,006669)	75,23791 (6,937483)	0,323763 (7,020674)	-6,941399
IND	-0,103149 (-1,575833)	-0,493997 (-5,550995)	10,05175 (1,602682)		-1,575833
IND	-0,577055 (-5,021685)	-0,263390 (-2,812601)	49,98694 (4,972623)	0,102880 (4,810913)	-5,021685

\*Critical values by MacKinnon (N=101):

-3,4979 at 1%

-2,8900 at 5%

-2,5818 at 10%

Note: In each field we have first the value of coefficient and then t-statistics.

GDP Gross domestic product (1992=100) – deseasoned data

IND Industrial production (1992=100) – deseasoned data


The discussion in Canova (1998) and Burnside (1998) makes clear that different detrending methods emphasize different frequency ranges in the data, and that many stylized facts are sensitive to the choice of detrending method. As we apply the same procedure on both series (GDP and industrial production), it seems, that in our application, this method gives good results.

#### 4. Results and conclusion remarks

In our analysis we employed the monthly index of industrial production (1992=100) and monthly index of GDP (1992=100) under the assumption, that the latter represents the current business activity. Such a choice enabled us sufficient number of observations for empirical testing. Since time series have to be stationary and must not include the trend, the long-term trend was subtracted from original time series.

The results of testing are presented in Figure 1. The first graph present spectral density diagram for GDP. We find one spectral peak at the frequency of 34,3 months. The spectrum of GDP is rather flat which suggest that the cyclic component is not so strong. In the second graph the spectral density diagram for industrial production is presented. We find again one spectral peak with the same frequency but the peak diverges stronger. In this way the first hypothesis is confirmed - the frequency corresponds to the length of typical business cycle proposed by Mitchell and Burns. The presence of one peak only can be attributed to the seasonal adjustment of original time series.

FIGURE 1: CROSS-SPECTRAL ANALYSIS (GDP, INDUSTRIAL PRODUCTION)



By using the spectral analysis, we were able to estimate the length of the business cycle in Slovene economy in the years from 1992 to 2000. Following the results from our analysis we can conclude, that first years of Slovenian transition were marked by typical transformation depression. This is not surprising, since Slovenian economy was hit by a series of market losses: the collapse of CMEA markets; the Gulf War and the collapse of the Yugoslav internal market. This collapse has heavily influenced the economic activity and the financial position of the economy. The production was pushed down rapidly to a decline by 9,3 percent in 1991 and 6,0 percent in 1992.

Our analyses determine June 1993 as a trough and as a start of a new cycle (we used inverse real discrete Fourier transform). This was confirmed by Mencinger (1995), who also found that in the middle of 1993 Slovenia suddenly reached the bottom of depression. The revival, which followed, can be explained by an increase in aggregate demand in which moderate growth of foreign demand coincided with fast growth of domestic demand. The peak was reached in January 1995. The turnaround could be attributed to Holland disease and to debt crises in Slovene economy. The peak was also preannounced by Surveys on Business Trends published by Statistical office of the Republic of Slovenia (1994), which reported on continued worsening of export demand since October 1994 (the diffuse index was steadily growing from 34 percent in October to 43 percent in December).

The end of the first cycle was reached in June 1996. After reaching a trough, economic developments improved in the second part of the year mainly due to economic recovery in Europe and improved export competitiveness. According to Institute of Macroeconomic Analysis and Development (1997) export competitiveness (measured in terms of unit labor costs in the basket of currencies) improved in the 1996 by 7,3 percent after a market drop of 11,9 percent in 1995. Competitiveness improved as a consequence of increased productivity, the lower tax burden on wages and the real depreciation of the Tolar.

Acceleration in rate of growth of the world economy as a whole and in particular of the European Union enables Slovene economy to extend the expansion into 1997. Improved economic performance of main economic partners was the primary factor enabling the export to rise in 1997 without an increase in export competitiveness. That year the consensus between the social partners on wages has been reached in time. Thus adequate income policy mechanism were adopted which succeeded in keeping the growth in wages lagging behind the growth in labor productivity.

The slowdown in economic growth and export market growth in the most important trading partners in the last quarters 1997 and 1998 hold back growth in Slovenian exports and with some lag economic activity as well. Extremely high value of the export multiplier of Slovene economy (0,6) explains the high degree of sensibility of Slovene macroeconomic activity to the changes in export growth. The deceleration of cycle in 1998 was therefore not a surprise, since contagion effects of Asian crises spread to Europe. We may conclude, that real events in Slovene economy in 1990's confirm our second hypothesis, namely that the movement of industrial production should be linked with actual business activity in Slovenia.

The cross-spectral density diagram confirms hypothesis of relationship between cyclical component of GDP and cyclical component of industrial production. The spectral peak is again at frequency of 34,3 months. The peak is statistically significant, which is confirmed with the maximum value of coherency at the selected frequency (fourth graph in Figure 1).

The fifth graph shows the time lag between oscillations of cyclical components of GDP and industrial production. At the significant frequency of 34,3 months, the GDP leads with an average lead-time of 1,6 months. The time lag between industrial production and GDP is small, so our results seem to provide strong support to our third hypothesis.

Due to the results of our empirical testing and confirmations of all three hypothesis, we may conclude, that the index of industrial production in Slovenia seems to be a good coincident indicator of current business activity.

## References

- Bank of Slovenia. "<http://www.bsi.si>". 2001.
- Bundesbank. "Der bergang vom Saisonbereinigungsverfahren Census X-11 zu Census X-12-ARIMA". *Monatsbericht*, September 1999.
- Burns, A., F. and Mitchell, W., C. "*Measuring Business Cycles*". NBER, New York, 1946.
- Burnside, C. "Detrending and business cycles facts: A comment". *Journal of Monetary Economics*, 1998, 41(3), pp. 513-532.
- Canova, F. "Detrending and business cycle facts". *Journal of Monetary Economics*, 1998, 41(3), pp. 475-512.
- Charemza, W., W. and Deadman, D., F. "*New directions in econometric practice: General to specific modelling, cointegration and vector autoregression*". Edward Elgar, Aldershot, 1992.
- Cogley, T. and Nason, J., M. "Effects of the Hodrick-Prescott filter on trend and difference stationary time series. Implications for business cycle research". *Journal of Economic Dynamics and Control*, 1995, 19, pp. 253-78.
- Englund, P., Persson, T., Svensson, L., E., O. "Swedish business cycles: 19861-1988". *Journal of Monetary Economics*, 1992, 30, pp. 343-71.
- Granger, C., W., J. "The Typical Spectral Shape of an Economic Variable". *Econometrica*, 1966, 34, pp. 150-161.
- Granger, C., W., J. "Testing for Causality". *Journal of Economic Dynamics and Control*, 1980, 2, pp. 329-352.
- Granger, C., W., J. "Some Recent Developments in a Concept of Causality". *Journal of Econometrics*, 1988, 39, pp. 199-211.
- Hymans, S. "On the Use of Leading Indicators to Predict Cyclical Turning Points". *Brookings Papers on Economic Activity*, 1973, 2, pp. 339-384.
- Institute of Macroeconomic Analysis and Development. "*Slovenian Economic Mirror*", 1997, 6, pp. 3-8.
- Lucas, R., E. "Expectations and the Neutrality of Money". *Journal of Economic Theory*, 1972, 4, pp. 103-125.
- Lucas, R., E. "Understanding Business Cycles". Carnegie-Rochester Conference Series on Public Policy, 5, reprinted in Lucas, R. E. (1981), *Studies in Business Cycle Theory*. Cambridge, 1977.
- Mencinger, J. "The macroeconomic framework". in E. Lah (Ed.), *Some Features of the Slovenian Financial System Development*, The Bank Association of Slovenia, Ljubljana, 1995.
- Miron, J., A. and Zeldes, S., P. "*Production, Sales, and the Change in Inventories: An Identity that Doesn't Add Up*". manuscript, NBER, Cambridge, MA, 1987.
- Reiter, M. "*The dynamics of business cycles*". Munich, 1995.
- Sargent, T., J. "*Macroeconomic Theory, 2. ed.*". Academic Press, New York, 1987.
- Sderlind, P. "Cyclical properties of real business cycle model". *Journal of Applied Econometrics*, 1994, 9, pp. S113-S122.
- Statistics Canada "*X11ARIMA version 2000*". Ottawa, Canada, 1999.

Statistical Office of the Republic of Slovenia "Surveys on Business Trends". Ljubljana, 1994.

Watson, M., W. "Measures of fit for calibrated models". *Journal of Political Economy*, 1993, 101(6), pp 1011-1041.

Wen, Y. "Can a real business cycle model pass the Watson test". *Journal of Monetary Economics*, 1998, 42, pp. 185-203.

Woitek, U. "Business cycles. An international comparison of stylized facts in historical perspective" Physica-Verlag, Berlin, 1997.

Zarnowitz, V. and Boschan, C. "Cyclic Indicators: An Evaluation and New Leading Indexes". In *Handbook of Cyclic Indicators*, U. S. Department of Commerce, Bureau of Economic Analysis, 1977.



სლოვენიაში ბიზნეს ციკლის მონაცემები. არის თუ არა  
სამრეწველო წარმოება არსებული ეკონომიკური  
(ბიზნეს) აქტიურობის მაჩვენებელი?

სებასტიან სტრასევი, ტიმოთეი იაგრიკი  
ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი  
მარიბორის უნივერსიტეტი, სლოვენია  
რაზლაგოვა, 14, 2000 მარიბორი, სლოვენია

რეზიუმე: ამ სტატიის მიზანია იმის გარკვევა, არის თუ არა არსებული ეკონომიკური (ბიზნეს) აქტიურობა დამთხვევის ინდიკატორი გარდამავალ ეკონომიკაში. ჩვენ გავაანალიზეთ ეს ჰიპოთეზა სლოვენისათვის თვეების მონაცემების მიხედვით 1992-2000 წლებში, ამ სტატიაში გამოყენებულია მრავალსიდიდიანი სპექტრული ანალიზი ამ ურთიერთობების შესასწავლად. სპექტრული მეთოდები შლის დროით სერიებს სისწორეების სერიებად, რომელიც წარმოადგენს მუდმივი ხანგრძლივობის (ინტეგრალის) ციკლებს. მრავალსიდიდიანი სპექტრული ანალიზი განსაზღვრავს ამ ურთიერთობის სიძლიერეს ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის. ჩვენმა შედეგებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს დამთხვევის უზრუნველყოფას.

**ДАННЫЕ О БИЗНЕС-ЦИКЛЕ В СЛОВЕНИИ. ЯВЛЯЕТСЯ ЛИ ПРО-  
МЫШЛЕННОЕ ПРОИЗВОДСТВО ПОКАЗАТЕЛЕМ СУЩЕСТВУЮ-  
ЩЕЙ ЭКОНОМИЧЕСКОЙ (БИЗНЕСА) АКТИВНОСТИ?**

Себастьян Страсек, Тимотей Ягрик  
Департамент экономической политики  
Факультет экономики и бизнеса  
Университет Марибора, Словения  
Разлагова ул. 14Б 2000 Марибор, Словения

**РЕЗЮМЕ.** Цель этой статьи заключается в выяснении, является ли существующая экономическая (бизнес) активность индикатором совпадения в переходной экономике. Мы проанализировали эту гипотезу по месячным данным 1992-2000гг. для Словении. В данной статье использован многочисленный спектральный анализ для изучения этих отношений. Спектральные методы превращают временные серии в частотные серии, представляющие собой циклы постоянной продолжительности. Многочленный спектральный анализ определяет мощность этих отношений среди экономических показателей. Полученные нами результаты, возможно, будут способствовать обеспечению этого совпадения.

## ეკონომიკური განვითარების ფაქტორები

რამაზ აბესაძე

*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის*

*პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი*

*0105, თბილისი, ქიქოძის ქ. №14.*

*შემოვიდა: 2004 წლის 12 ოქტომბერს*

რეზიუმე. სტატიაში განხილულია ეკონომიკური განვითარების ისეთი ფაქტორები როგორცაა: ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, ფიზიკური კაპიტალი, ტექნოლოგია და ტექნოლოგიური ცოდნა, ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუციები, გამოგონება და ინოვაცია, ეკოლოგიური სიტუაცია.

სტატისის მოცულობის შეზღუდულობის გამო მასში არ განიხილება ეკონომიკურ განვითარებაზე მოქმედი, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ისეთი უმნიშვნელოვანესი პროცესები როგორცაა: ტრანსნაციონალიზაცია, ინტერნაციონალიზაცია, რეგიონალიზაცია და გლობალიზაცია.

\* \* \*

ეკონომიკური განვითარების ფაქტორები განსაზღვრავენ ეკონომიკური განვითარების თვისებრივ და რაოდენობრივ მხარეს. სწორედ მათი ოპტიმალური შეხამებით და გამოყენების შედეგად არის შესაძლებელი ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, რაც საბოლოო ანგარიშით ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებში ჰპოვებს ასახვას. შეიძლება გამოვყოთ ეკონომიკური განვითარების შემდეგი ძირითადი ფაქტორი:

ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი. ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ფუნქციონალური, უნივერსალური ფაქტორია. ბუნებრივი რესურსი მრავალფეროვანია. იგი მოიცავს მიწის, ნიადაგის, წყლის, ტყის, ბიოლოგიურ (მცენარეთა და ცხოველთა სამყარო), მინერალურ (სასარგებლო წიაღისეულები), კლიმატურ, რეკრეაციულ და პლანეტარულ-კოსმოსურ რესურსებს. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე პირობებში ცალკეული ქვეყნისათვის აღნიშნულ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების შედეგად ბუნებრივი რესურსებით ღარიბი მაღალტექნოლოგიური ქვეყნები (მაგალითად, იაპონია, სამხრეთ კორეა, სინგაპური და სხვა) წარმატებით იყენებენ სხვა ქვეყნების ბუნებრივ რესურსებს. მაგრამ სხვა თანაბარ პირობებში ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანა დამატებით უპირატესობებს ფლობს. მაგალითად, კუვეიტში ცხოვრების დონე მაღალია იმიტომ, რომ იგი ნავთობის უმდიდრეს მარაგებს ფლობს, ხოლო ტროპიკული აფრიკის ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების პროცესი მნიშვნელოვნად ფერხდება იმის გამო, რომ ისინი მეტად ღარიბნი არიან ბუნებრივი რესურსებით. თუ მსოფლიო ეკონომიკას წარმოვიდგენთ როგორც ერთი

ქვეყნის ეკონომიკას, მაშინ დაერწმუნდებით, რომ ბუნებრივი რესურსების გარეშე შეუძლებელი იქნება ეკონომიკის არათუ განვითარება, არამედ არსებობაც კი.

ეკონომიკურ განვითარებაზე ბუნებრივი რესურსების ზეგავლენა გამოიხატება იმაში, რომ: ეკონომიკური საქმიანობის დროს ხდება ახალი სახეობის რესურსების ათვისება (მაგალითად, ატომური ენერგია, მზის ენერგია, ბიოენერგია და ა.შ.), რომელსაც ხშირად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური განვითარებისათვის. ბუნებრივი რესურსები, როგორც განახლებადი, ისე არაგანახლებადი, უშრეტო არ არის, რის გამოც, აუცილებელია მათი რაციონალური გამოყენება – განახლებადი რესურსებისა ისე, რომ მოხერხდეს მათი განახლება, ხოლო არაგანახლებადი რესურსებისა, მაქსიმალური ეკონომიურობით, რათა რაც შეიძლება დიდხანს იქნეს შესაძლებელი მათი მარაგების გამოყენება. ამასთანავე, აუცილებელია არაგანახლებადი რესურსების ალტერნატიული წყაროების ძებნა, რათა კაცობრიობა პირისპირ არ დადგეს მათი ამოწურვით გამოწვეული მოსალოდნელი კატასტროფის საფრთხის წინაშე; ეკონომიკური განვითარების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ბუნების კანონთა მოქმედება, ვინაიდან მათი შეცვლა ადამიანს არ შეუძლია; ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის აუცილებელი ხდება ეკონომიკის შესაბამისი დარგების წარმოშობა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის სტრუქტურაზე, და თავისთავად იწვევს პროგრესულ ცვლილებებს ეკონომიკაში.

ფიზიკური კაპიტალი. ფიზიკური კაპიტალი ასევე ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ფუძემდებლური და უნივერსალური ფაქტორია. ფიზიკური კაპიტალი არის ის მანქანები, იარაღები, მოწყობილობები, შენობები, ნაგებობები და ა.შ. რომელთა მეშვეობითაც ადამიანები აწარმოებენ საქონელსა და მომსახურებას. ფიზიკურ კაპიტალში ყოველგვარი პროგრესული ცვლილება უშუალოდ განაპირობებს ეკონომიკურ განვითარებას, ვინაიდან იგი იწვევს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, პროდუქციის მასალა- და ენერგოტექნოლოგიის შემცირებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას და ა.შ.

რადენობრივი და თვისებრივი ცვლილებები ფიზიკურ კაპიტალში იწვევს ფიზიკური შრომის სულ უფრო დაშორებას პროდუქციაზე უშუალო ზემოქმედებისაგან და ეს როლი ეკისრება ფიზიკურ კაპიტალს. შესაბამისად იზრდება ადამიანის მიერ წარმოების პროცესების მაკონტროლებელი ფუნქცია, რაც თავის მხრივ არა ფიზიკურ, არამედ უფრო მეტად ინტელექტუალურ შრომას საჭიროებს. ასეთი შრომა კი უმთავრესად ეფუძნება ცოდნასა და გამოცდილებას, რომელსაც ადამიანი სწავლისა და მუშაობის პროცესში იძენს. ამიტომ ეკონომიკის საბოლოო შედეგებში იზრდება არა მხოლოდ ადამიანის ცოდნისა და

გამოცდილების მნიშვნელობა, არამედ ფიზიკური კაპიტალის როლი და მნიშვნელობა. ფიზიკურ კაპიტალში მატერიალიზებულია წარმოების პროცესში კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება.

ტექნოლოგია და ტექნოლოგიური ცოდნა. ტექნოლოგია არის ის წესი და საშუალება, რომლის მეშვეობითაც ხდება ამოსავალი მასალების გარდაქმნა საჭირო საქონლად ან მომსახურებად. უფრო ზუსტად ტექნოლოგია ეს არის შერწყმა კვალიფიციური ჩვევების, მოწყობილობების, ინფრასტრუქტურის, ინსტრუმენტების და შესაბამისი ტექნიკური ცოდნის, რათა განხორციელდეს სასურველი გარდაქმნები მასალებში, ინფორმაციებში ან ადამიანებში [5, გვ. 94-95]. მისი კომპონენტებია მანქანები, მოწყობილობები და ნედლეული, მაგრამ მთავარია ის წესი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ეს გარდაქმნები.

ტექნოლოგიური ცოდნა ნიშნავს საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად საუკეთესო ტექნოლოგიების შერჩევას, იგი იმაზე მეტყველებს, თუ როგორ ერკვევიან ადამიანები მსოფლიო ტექნოლოგიურ მიღწევებში.

ტექნოლოგიის სრულყოფას მიეკავართ მწარმოებლურობის ამაღლებასთან, ადამიანის როლისა და ფუნქციების შეცვლასთან წარმოების პროცესში, ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობათა ზრდასთან. ტექნოლოგიური პროგრესი ხორციელდება ინოვაციების მეშვეობით. ასეთი დიდი ინოვაციები კაცობრიობის ისტორიაში იყო სამრეწველო რევოლუცია, სტანდარტიზაცია, მექანიზაცია, კონვეიერული ხაზები. მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდა უწყვეტი მოქნილი საწარმოო პროცესების განხორციელება, ავტომატური მოწყობილობების გამოყენების საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება წარმოების ელექტრონიზაციას, კომპიუტერიზაციას და რობოტიზაციას. თანამედროვე პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური უნარწინო ტექნოლოგიების შექმნა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის.

ადამიანური კაპიტალი. ადამიანური კაპიტალი არის ის ცოდნა და უნარი, რომელსაც ადამიანი იძენს განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების გზით და იყენებს წარმოების პროცესში. ახალი ეკონომიკა მთითხოვს ადამიანური კაპიტალის უკიდურესად მაღალ ხარისხს, რომელიც ორიენტირებული უნდა იქნეს უახლეს ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე, ინფორმაციულ-კომპიუტერული სისტემის ფართოდ გამოყენებაზე, მოქნილ წარმოებაზე, ინოვაციების სისტემის დანერგვაზე. ადამიანური კაპიტალის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია განათლება. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური განვითარებისათვის, რადგან იგი იწვევს დადებით გარეგან ეფექტს. განათლებულ ადამიანს მეტი შესაძლებლობები აქვს ახალი იდეების შესამუშავებლად, რომელიც მიმართულია, როგორც ტექნოლოგიის სრულყოფის, ასევე მართვისა და

ორგანიზაციის ახალი მეთოდების შემუშავებისაკენ. ამიტომაც, რომ ქვეყნისათვის მეტად არასასურველია ეგრეთწოდებული “ტვინების გაღინება” – განათლებული მშრომელების გასვლა ქვეყნიდან ცხოვრების უკეთესი პირობების საძებნელად.

ვინაიდან კაპიტალის შექმნისა და გაფართოების პროცესი წარმოადგენს ინვესტირების პროცესს, ამიტომ განათლების მიღებაზე გაწეული დანახარჯები არის ადამიანში განხორციელებული ინვესტიციები. ასეთი ინვესტიციების გაწევა მოხდება მაშინ, როდესაც დიდი მოთხოვნა იქნება მაღალკვალიფიციურ მუშაკებზე, რის გამოც მათ მაღალანაზღაურებადი დაინტერესებაც ექნებათ. მაგრამ იმის გამო, რომ საზოგადოებაში სიმდიდრის მიხედვით არსებობს სხვადასხვა ფენები, ახალგაზრდები შესაძლებელია არათანაბარ სასტარტო პირობებში აღმოჩნდნენ, ცოდნის მიღების მიმართებით. ასეთ ვითარებაში სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი განათლების სისტემა, რომელიც ყველა ადამიანს, მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობისა ერთნაირ სასტარტო პირობებში ჩააყენებს.

ინვესტიციებს ადამიანურ კაპიტალში შეიძლება მივაკუთვნოთ არა მხოლოდ პირდაპირი დანახარჯები განათლებაზე, არამედ დანახარჯები თვითგანათლებაზე, გამოცდილების ამაღლებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე და მეცნიერების განვითარებაზე. სწორედ ადამიანური კაპიტალის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ეკონომიკის გარდაქმნის, ეკონომიკური და იურიდიული ინსტიტუტების მოდერნიზაციისა და სრულყოფის მიმართულებით [7, გვ. 81-82].

ინსტიტუციები. ინსტიტუციონალიზმი ნიშნავს იმას, რომ ადამიანთა ეკონომიკური ქცევები მნიშვნელოვნად განისაზღვრება საზოგადოების სოციალურ-სამართლებრივი მოწყობით, ასევე ტრადიციებით, ადათებით, ჩვევებით და ა.შ. ამდენად, ინსტიტუციები მოიცავს არაფორმალურ (ტრადიციები, ადათები, ჩვევები) და ფორმალურ ინსტიტუციებს, რომელშიდაც, ერთი მხრივ, შედის დაწესებულებათა სისტემა (ბაზრები, საბაზრო ინფრასტრუქტურა, ფირმები, პროფკავშირები, სახელმწიფო, ეკონომიკის მართვის ორგანოები და ა.შ.), მეორე მხრივ, კი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა (კანონები, დადგენილებები, ბრძანებები, ნორმატიული აქტები და ა.შ.). ინსტიტუციონალიზმს საფუძველი ჩაეყარა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. მისი ფუძემდებელია ამერიკელი ეკონომისტი ტ. ვებლენი, ხოლო ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები დ. კომონსი, უ. მიტჩელი, მ. ვებერი, ვ. ზომბარტი, დ. გელბრეიტი, გ. მიურდალი, რ. კოუსი, ა. ალჩიანი, კ. ეროუ, დ. ბიუკენენი, დ. ნორტი, ტ. სტიგლიცი, ო. იულიამსონი და სხვ. ინსტიტუციონალიზმის მიხედვით ეკონომიკურ პროცესებზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ წმინდა ეკონომიკური, არამედ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართ-

ლებრივი და ფსიქოლოგიური ფაქტორები, ასევე ტრადიციები, ადათები, ჩვევები, ინსტიტუტები, რელიგია, ეთიკური და ესთეტიკური ნორმები, მეცნიერება და ა.შ. [4, გვ. 27-28]

შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ტრადიციული, ანუ ძველი ინსტიტუციონალიზმი და ახალი, ანუ ნეოინსტიტუციონალიზმი. ტრადიციული აერთიანებს სოციალურ-ფსიქოლოგიურ, სოციალურ-სამართლებრივ, ინსტიტუციურ-სტატისტიკურ და სოციოლოგიურ მიმდინარეობებს. ხოლო ახალი ნეოინსტიტუციონალიზმის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ადამიანის ქცევის მოტივაცია, მის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, პირობები და წანამძღვრები.

გამოგონება და ინოვაცია. გამოგონება ეს არის ახალი ტექნიკის აღმოჩენა, ხოლო ინოვაცია ამ გამოგონების გამოყენება პროდუქციის საწარმოებლად, ანალოგიურად იმისა, როგორც განსხვავდება ერთმანეთისაგან წმინდა მეცნიერების განვითარება და მისი შედეგების გამოყენება წარმოებაში. ასევე, როგორც შესაძლებელია მეცნიერული აღმოჩენები მიღებულ იქნეს ერთ ქვეყანაში, ხოლო გამოყენებული – მეორეში, ასევე, შესაძლებელია გამოგონება მოხდეს ერთ ქვეყანაში, ხოლო მისი გამოყენება – სხვაგან. მაგალითად, ატომური ენერჯის სფეროში თეორიულ გამოკვლევათა მთელი ტვირთი იკისრა ევროპამ, ხოლო პირველი ატომური რეაქტორი და პირველი ატომური ბომბი შექმნილი იქნა ამერიკელების მიერ.

გამოგონების და ინოვაციის საფუძველს წარმოადგენს აღმოჩენები, უპირველეს ყოვლისა, ფუნდამენტურ, შემდეგ კი გამოყენებით მეცნიერებებში. ამდენად, მეცნიერების განვითარება ეკონომიკური განვითარების საფუძველთა საფუძველია. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესი ეს არის ინოვაციათა განხორციელების პროცესი, როგორც ფიზიკურ კაპიტალში, ასევე წარმოების ორგანიზაციის ფორმებში, ადამიანურ კაპიტალში, ტექნოლოგიებში, ინსტიტუციებში და ა.შ. სწორედ ინოვაციების მეშვეობით ხორციელდება პროგრესული ცვლილებები ტექნიკაში, ადამიანთა ცოდნაში, უნარ-ჩვევებში, ტრადიციებში, სამართლებრივ და კულტურულ ნორმებში და ა.შ.

ეკოლოგიური ფაქტორი. “ეკოლოგია” ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს ბიოლოგიის ნაწილს, რომელიც შეისწავლის ცოცხალ ორგანიზმებს და მათ გარემო ბუნებასთან ურთიერთდამოკიდებულებას. რასაკვირველია, ეკონომიკურ ლიტერატურაში ეს ტერმინი ზუსტად აქ მოტანილი გაგებით არ გამოიყენება. ვინაიდან ცოცხალ ორგანიზმებზე უდიდეს გავლენას ახდენს ბუნებათსარგებლობისა და ბუნების დაცვის პროცესები, ამიტომ “ეკოლოგიის” ცნება ბუნებათსარგებლობისა და გარემო ბუნების დაცვის ეკონომიკური პრობლემების შესწავლის დროსაც გამოიყენება. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიური ფაქტორი გამოხატავს იმ გავლენას, რომელსაც რაციონა-

ღური ბუნებათსარგებლობის და გარემო ბუნების დაცვის მოთხოვნები ახდენს ეკონომიკაზე, ვინაიდან ამ მოთხოვნების გათვალისწინება და განხორციელება მნიშვნელოვან თვისებრივ ცვლილებებს იწვევს ეკონომიკაში.

რაციონალური ბუნებათსარგებლობის და გარემო ბუნების დაცვის მოთხოვნები თავისთავად დაკავშირებულია ეკონომიკური რესურსების შესლულულობასთან, ბუნების დაბინძურებასთან და თვით ბუნების დამანგრეველი ძალების მოქმედების შედეგებთან. მსოფლიოში, ამ ასპექტის გათვალისწინებით შეიძლება გამოიყოს ეკონომიკური განვითარების სამი ეტაპი. ამ ასპექტის გათვალისწინებით, შეიძლება გამოიყოს მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების სამი ეტაპი. პირველ ეტაპზე ბუნებრივი რესურსები ამოუწურავად ითვლებოდა და მთავარი ყურადღება საწარმოო სიმძლავრეთა ზრდას ეთმობოდა. მეორე ეტაპზე, მართალია, მხედველობაში მიიღებოდა რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და გარემო ბუნების დაცვის მოთხოვნები, მაგრამ მათი სრულყოფილი განხორციელება არ ხდებოდა. მესამე ეტაპზე ეკონომიკა შედის მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტადიაში, რომელიც დღესაც გრძელდება. საერთოდ, აღნიშნულ პრობლემას მსოფლიო მასშტაბით განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისიდან მიექცა. 1972 წელს ქალაქ სტოკჰოლმში იმართება მსოფლიო კონფერენცია ბუნების დაცვის საკითხებზე, რომელზედაც გამოთქმული იქნა შემოთავაზება იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ზრდის არსებული ტემპების შენარჩუნების შემთხვევაში კაცობრიობას კატასტროფა ემუქრებოდა. კონფერენციის მიერ მიღებული იქნა “ნულოვანი ზრდის” პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა როგორც ეკონომიკური ზრდის, ისე მოსახლეობის ზრდის ტემპების შეკვეცას. რასაკვირველია, ამ პროგრამას განხორციელება არ ეწერა და არც განხორციელებულა. 1987 წელს გაეროებთან და განვითარების საერთაშორისო კომისიის მოხსენება “ჩვენი საერთო მომავალი”, რომელშიდაც შემოთავაზებული იქნა “მდგრადი განვითარების სტრატეგია.” 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გარემოსა და განვითარების საკითხებზე ჩატარდა მეორე მსოფლიო კონფერენცია, რომელზედაც შემუშავებული და მიღებული იქნა პროგრამა – “დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის” – სადაც გადმოცემულია მდგრადი განვითარების არსი და ამოცანები. მდგრადი განვითარების არსი ძირითადად მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებამ უნდა შეძლოს დღევანდელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მაგრამ საფრთხის წინაშე არ უნდა დააყენოს მომავალი თაობების მოთხოვნები და თვით არსებობის საკითხიც კი.

მდგრადი განვითარების მოთხოვნათა განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებასა და ბუნებას შორის ნივთიერებათა და ენერჯის რაციონალური გაცვლის შედეგად. ეს კი მიიღწევა მაშინ,

როდესაც ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დაემყარება ბუნების თვითაღდგენისა და აღწარმოების მკაცრ კანონზომიერებას. მაშასადამე, დღის წესრიგში დგას, საზოგადოებისა და ბუნების განვითარების, ანუ კოეოლოგიის ამოცანა. ჩვენი პლანეტის ბიოსფერო გადადის ახალ თვისებრიობაში – ნეოსფეროში, მოაზროვნე გარსში, სადაც ადამიანები ამცირებენ ბიოსფეროსადმი არა მხოლოდ მის, არამედ ბუნების დამანგრეველი ძალების მიერ მიყენებული უარყოფითი ზემოქმედების შედეგებს.

როგორც ვხედავთ, ეკოლოგიური ფაქტორის გათვალისწინების შედეგად ეკონომიკა გადადის სრულიად ახალ მდგომარეობაში, რომელსაც მოჰყვება თვისებრივი ცვლილებები ეკონომიკის თითქმის ყველა ელემენტში, თვით საკუთრების ფორმებშიც კი. საკუთრების ფორმებში ცვლილებები ეკოლოგიური ფაქტორის გავლენით ხდება იმიტომ, რომ რაციონალური ბუნებათსარგებლობის და გარემო ბუნების დაცვის მოთხოვნების გადაჭრა სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევებში უკეთ ხერხდება საკუთრების შესაბამისი ფორმების გამოყენების დროს. მაგალითად, თეორიაში კარგადაა ცნობილი, რომ “საერთო რესურსების ტრაგედია” ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ეკონომიკურ რესურსებზე არ არსებობს კერძო საკუთრება. ხშირ შემთხვევაში იმავე თვალსაზრისით უმჯობესია საერთო საკუთრების არსებობა და სხვა.

ეკოლოგიური ფაქტორი ასევე იწვევს ცვლილებებს რესურსების განაწილებაში და სიმძლავრეთა განლაგებაში, ეკონომიკის სტრუქტურაში, ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალში, პროდუქციის ხარისხში და ა.შ. რესურსების დიდი ნაწილი მიედინება ბუნების დაცვის ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად, ხოლო საწარმოო სიმძლავრეების განლაგება უმჯობესია იქ, სადაც ყველაზე ოპტიმალურად იქნება დაცული რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და გარემო ბუნების დაცვის მოთხოვნები. ბუნებისდაცვით პრობლემათა გადასაჭრელად წარმოიშობა შესაბამისი დარგები, რომლებიც ეკონომიკაში მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს იწვევენ. იგივე მოთხოვნები წარმოიშობს პრინციპულად ახალ მასალა- და ენერგოდამზოგ უნარჩენო და სხვა ეკოლოგიურ მოწყობილობებს და ტექნოლოგიებს, რომელთა მომსახურება დაკავშირებულია ახალი პროფესიის (ინჟინერეკოლოგები, ენერგოეკოლოგები, ეკონომისტ-ეკოლოგები, ეკოლოგიური ექსპერტები და სხვა) კადრების წარმოშობასთან. აღნიშნული მოთხოვნები ასევე იწვევენ ცვლილებებს ინსტიტუციებშიც (კანონებში, ეკონომიკის მართვის ორგანოებში, ადამიანის ჩვევებში, ტრადიციებში და ა.შ.). ეკოლოგიური ფაქტორი ეკონომიკური ზრდის ტემპებზე მოქმედებს როგორც შენელების, ისე დაჩქარების მიმართულებით. შენელების მიმართულებით იმიტომ, რომ იგი იწვევს დამატებით დანახარჯებს ფირმების მხრიდან, რაც ამცირებს მათ რენტაბელობას და შესაბამისად ერთობლივი მიწოდების სი-



დიდეს. დანქარების მიმართულებით კი იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ეკოლოგიურ პროდუქტებზე სულ უფრო და უფრო იზრდება მოთხოვნა, და მეორეც, ბუნებისდაცვითი მოთხოვნების განხორციელების პროცესში წარმოიშობა და ყალიბდება შესაბამისი დარგები, რაც, რასაკვირველია, ასევე ეკონომიკური ზრდის ტემპებს აჩქარებს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ბუნებისდაცვით მოთხოვნილებათა განხორციელების თავდაპირველ ეტაპზე, ეკონომიკურ ზრდაზე შემანელებელი ზემოქმედება გაცილებით მეტია, ვიდრე დამანქარებელი, თუმცა ეს სხვაობა თანდათან მცირდება და მაშინ, როდესაც მთელი ეკონომიკის ეკოლოგიზაცია დასრულდება, ეს სხვაობა საერთოდ აღარ იარსებებს. აღბათ, ამ ეტაპისათვის ბუნებისდაცვითი პროცესები აღარ უნდა წარმოადგენდეს “გარე ფექტს” საბაზრო სისტემისათვის, ვინაიდან თითოეული ეკონომიკური აგენტი გაითავისებს, რომ დედამიწა ყველა ადამიანის საერთო საცხოვრებელი ოჯახია და მისი ნებისმიერი დაუშვებელი დაბინძურება ყველასათვის საზიანო იქნება. სწორედ ისე, როგორც თითოეული ოჯახი, რომელიც იძენს შეშის ღუმელს, დაუფიქრებლად იღებს დანახარჯებს მასთან ერთად საკვამლე მიწის შესაძენად, რათა თავიდან აიშოროს კვამლის საცხოვრებელ ბინაში დაგროვება, სწორედ ასევე, თითოეულმა აგენტმა დაუფიქრებლად უნდა გასწიოს ის ხარჯები, რომელიც თავიდან აგვაშორებს დედამიწის, ჩვენი საერთო საცხოვრების დაბინძურებას.

#### ლიტერატურა:

1. აბესაძე რ., სარჩიმელია რ., არევაძე ნ., მელაშვილი მ. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. თბ., “უნივერსალი”, 2004.
2. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კალიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2002.
3. წერეთელი გ., ბიბილაშვილი ნ. პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები. თბ., “მეცნიერება”, 2004.
4. Гукасьян Г.М. Экономическая теория: проблемы «новой экономики». «Питер», 2003.
5. Мескон М., Альберт М., Хедоури Ф. Менеджмент. М., «Дело», 1992.
6. Тодаро П. Экономическое развитие. М., «Юнити», 1997.
7. Экономика развития: модели становления рыночной экономики. М., «ИНФРА-М», 2001.

## THE FACTORS OF ECONOMIC DEVELOPMENT

**Ramaz Abesadze**

*P. Gugushvili Institute of Economics,  
The Academy of Sciences of Georgia  
14, Kikodze str., 0105, Tbilisi, Georgia*

**SUMMARY.** In the article there are discussed such factors of economic development as: potential of natural resources, physical capital, technologies and technological knowledge, human capital, institutionalization, inventions and innovations, ecological situation.

Due to volume limits on the article, it does not discuss some major processes taking place in global economy which affect economic development: transnationalization, internationalization, regionalization and globalization.

## ФАКТОРЫ ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ

**Рамаз Абесадзе**

*Институт экономики им. П. Гугушвили АН Грузии  
Тбилиси, 0105, ул. Кикодзе № 14*

**РЕЗЮМЕ.** В статье рассматриваются такие факторы экономического развития, как: природно-ресурсный потенциал, физический капитал, технология и технологические знания, человеческий капитал, институции, изобретения и инновации, экологическая ситуация.

Из-за ограниченности объема статьи в ней не рассматриваются такие происходящие в мировой экономике важнейшие, действующие на экономическое развитие процессы, как: транснационализация, интернационализация, регионализация и глобализация.

საქართველოს ეკონომიკაში არსებული პრობლემების  
ბაღაჭრის ძირითადი მიმართულებები

გიორგი ბერუღაია  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი,  
0105, თბილისი, ქიქოძის ქ. №14  
შემოვიდა: 2004 წლის 28 ნოემბერს

რეზიუმე. სტატიაში განხილულია საქართველოს ეკონომიკაში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის ძირითადი მიმართულებები, კერძოდ: საბაზრო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, საბაზრო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების სრულყოფა, სამამულო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად გამიზნულ ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება და განხორციელება.

\* \* \*

საქართველოს ეკონომიკური გარდაქმნის პროცესი უწინარესად მიზნად უნდა ისახავდეს თანამედროვე ტიპის სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობას. საბაზრო სისტემის ჩამოყალიბება თავისთავად არ არის თვითმიზანი, პირიქით, ეს არის საშუალება, რათა გადაწყდეს სხვა ამოცანები – ცხოვრების დონის ამაღლება, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება, ეკონომიკის ზრდისა და საზოგადოების დემოკრატიული განვითარების საფუძვლების შექმნა.

1994 წლის მერვე ნახევარში საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით წამოიწყო ეკონომიკის გარდაქმნა, რომელიც გამიზნული იყო უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზაციისათვის. ანტიკრიზისული პროგრამის რეალიზაციის საკმაოდ მოკლე ვადაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ვაჭრობისა და ფასების ლიბერალიზაცია, კონვერტირებული ვალუტის შემოღება და მისი სტაბილურობის შენარჩუნება, რესტრუქციული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარება, საბანკო სექტორისა და საგადასახადო სისტემის რეფორმირება, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად საქართველომ მოახერხა მიუღწეა შემდეგი შედეგისათვის, კერძოდ: მოესპო პირველადი საჭიროების საქონლის დეფიციტი; უზრუნველყო მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა წარმოების ხუთწლიანი უწყვეტი დაცემის შემდეგ, შეემცირებინა ფასების ზრდა პიპერინფლაციურიდან მისაღებ დონემდე.

მოეხდინა ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილიზაცია, გაეფართოებინა ეკონომიკის კერძო სექტორი და ა.შ.

